

მაია ჯავახიძე, ნინო ხმალაძე

იტალიური ენის ფონეტიკა
(სალექციო და პრაქტიკული კურსი)



ქართული აკადემიური წიგნი
თბილისი 2012

რედაქტორი:

ფილოლოგის დოქტორი
ქეთევან გაბუნია

რეცენზენტი:

ფილოლოგის დოქტორი
მარინე კობეშავიძე

ISBN: 978-9941-9270-7-2



ქართული აკადემიური წიგნი
ირ. აბაშიძის 16, 0179 თბილისი
ტელ.: 222 7137; 551 227137
artlines.ge; artlinesshop.ge; artlinesinfo@gmail.com

ნაშრომი შესრულებულია ლუკა სერიანის, სილვია კალამაის, ლიდა კალაბროს, ფედერიკო ალბანო ლეონის, პიეტრო მატურის მიერ იტალიური ენის ფონეტიკური კვლევების საფუძველზე და განკუთვნილია როგორც იტალიური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებისათვის, ისე იტალიური ენით დაინტერესებული ყველა პირისთვის. სახელმძღვანელოში აღწერილია ზოგადი თეორიული საკითხები, მაგალითად, ფონეტიკისა და ფონოლოგისა, ფონემის, ფონისა და ალოფონის რაობა (იტალიურ მაგალითებზე); განხილულია იტალიური ენის თანხმოვანთა და ხმოვანთა სისტემა, ახსნილია დიფონგისა და ტრიფონგის რაობა; განხილულია ისეთი პროსოდიული მახასიათებლები, როგორიცაა მარცვალი, მახვილი (ბლაგვი და მკვეთრი, პროსოდიული და გრაფიკული), რიტმი და ინტონაცია, ასევე ფონოსინტაქსური მოვლენები – ელიზია და კვეცა, თანხმოვანთა გაორმაგება ორი სიტყვის შესაყარზე. სახელმძღვანელოს ახლავს CD პრაქტიკული სავარჯიშოებით, რაც განსაკუთრებულ დახმარებას გაუწევს იტალიური ენის შემსწავლელებს.

მ. ჯავახიძე
ნ. ხმალაძე

1. ფონეტიკა და ფონოლოგია

ენათმეცნიერების იმ დარგს, რომელიც შეისწავლის სამ-ეტყველო ბერებს, ე.ი. **ბუნებრივი ენის** ნიშნების ფიზიკურ სუბსტრანციას, **ფონეტიკა** ეწოდება. ფონეტიკა შეისწავლის ამ ბერების ფიზიკურ მახასიათებლებს და მხედველობაში არ იღებს მათ უნარს, განასხვაონ ერთმანეთისაგან სხვადასხ-ვა მნიშვნელობის მქონე სიტყვები. შესაბამისად, იგი აღწერს ბერებს, ახდენს მათ კლასიფიკაციას და ფონეტიკურ ჩან-ერას. ფონეტიკის საგანია თავად ბერების სუბსტრანცია. მის ერთეულებს **ფონები** ეწოდება. ფონეტიკა იყოფა შემდეგ ოთხ მიმართულებად: **არტიკულაციური (articolatoria)** ფონეტიკა, **ალქმის ფონეტიკა (uditiva, percettiva)**, **აკუსტიკური (acustica)** ფონეტიკა, **ინსტრუმენტალური (strumentale)** ფონეტიკა. არ-ტიკულაციური ფონეტიკა შეისწავლის ბერათნარმოქმნის აპარატის ანატომიასა და ფიზიოლოგიას, იმ ორგანოების მახა-სიათებლებს, რომლებიც მონანილეობენ თავად წარმოთქმის პროცესში; ბერების წარმოქმნის ნაირსახეობას, მსოფლიოს სხვადასხვა ენების ბერებით კლასიფიკაციის კრიტერიუმებსა და ტერმინებს. არტიკულაციური ფონეტიკის საგანს თუ ის წარმოადგენს, ვინც ქმნის გზავნილს (მოსაუბრე), **ალქმის ფონ-ეტიკა** კონცენტრირებულია გზავნილის მიმღებზე (მსმენელზე) და აღწერს ფონების ალქმის პროცესებს როგორც ანატომიური (სასმენი აპარატის მახასიათებლები), ისე ფიზიოლოგიური თვალსაზრისით (თუ როგორ იჭერს გარეთა ყური ბერას — ჰაერის მოლეკულების ვიბრაციას — და გადააქცევს მას მექა-ნიკურ იმპულსებად). **აკუსტიკური ფონეტიკა** - შესაბამისი ინ-სტრუმენტების საშუალებით შეისწავლის ბერითი ტალღების ფიზიკურ მახასიათებლებს. **ინსტრუმენტალური ფონეტიკა** დაკავებულია უფრო ტექნიკური მხარით: როგორ მოვარგოთ ფონეტიკის ალნიშნულ დარგებს შესაბამისი საზომი ერთეულე-ბი (მაგალითად, არტიკულაციურ ფონეტიკაში ფილტვებიდან წამოსული ჰაერის ნაკადი იზომება მისი **სიმძლავრით**, უღერა-დობა — **რხევის სიხშირით**).

ფონოლოგია არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ბუნებრივი ენებისთვის დამახასიათებელ ბგერებს მათი **სიტყვათგანმასხვავებელი** თვალსაზრისით (ანუ ენაში სამეტყველო ბგერათა ფუნქციონირებას). ის კონცენტრირებულია ფორმაზე და ფონეტიკისაგან განსხვავებით უფრო აბსტრაქტულია; ის გამოიყენებს ერთეულებს, რომელთაც „**ფონეტები**“ ეწოდებათ. ამგვარად ყველა იმ ბგერებიდან, რომელიც შეუძლია წარმოთქვას ადამიანის საარტიკულაციო აპარატს (და რომელსაც შეისწავლის ფონეტიკა), ფონოლოგია შეისწავლის მხოლოდ ისეთ ბგერებს, რომელთაც აქვთ განმასხვავებელი ფუნქცია, ანუ წარმოადგენენ ფონეტებს. ფონოლოგია შეისწავლის თუ როგორ კომბინაციებს ქმნიან, როგორ ეწყობიან ერთმანეთს მოცემული ენის ფონემები და როგორ იცვლებიან, როდესაც ამ კომბინაციების შემადგენლობაში შედიან. ყოველი ენა თავისი საკუთარი წესებით „აწყობს“ ფონემების გარკვეულ თანმიმდევრობას. მაგალითად, იტალიური ენის ფონოლოგიური წესებიდან ცნობილია, რომ იტალიურში შეუძლებელია შემდეგი თანხმოვნების კომბინაცია – *pf*; ეს კომბინაცია შესაძლებელია შეგვხვდეს მხოლოდ გერმანულ ნასესხობებში. ფონემების ჩანარი ხდება **გრაფემების** საშუალებით. გრაფემას გამოხატვის თავისი ნიშანი აქვს, მაგალითდ: <*r*>.

სახელწოდება ორთოგრაფია (*ortografía*) მომდინარეოს ბერძნული სიტყვიდან *orthós* – „სწორი“ და *graphía* – „დამწერლობა“ და ნიშნავს უშეცდომოდ წერას გარკვეულ ენაზე.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ფონეტიკა ახდენს სამეტყველო ბგერების ზედმინევნით ზუსტად ჩანარის, სწორედ ამისთვის არსებობს ე.წ. **ფონეტიკური ტრანსკრიფცია**, რომელიც საშუალებას გვაძლევს კვადრატული ფონეტიკური – [] – ჩავნეროთ სიტყვა, ფრაზა და მთელი ტექსტიც კი. მასში თითოეულ ბგერას შეესაბამება ერთი კონკრეტული სიმბოლო. ამ სიმბოლოებს გვერდით, ზემოთ ან ქვემოთ მიწერილი აქვთ ე.წ. **დიაკრიტიკული** ნიშნები, მაგალითად [*'mare*] - მახვილი გამოხატულია მახვილიანი მარცვლის წინ; ორი წერტილი თანხმოვნის ან ხმოვნის შემდეგ გამოხატავს მათ გრძელ წარ-

მოთქმას: ['sa:le]; განსხვავება ამ ორ ტრანსკრიფციას შორის ის არის, რომ ფონეტიკურად შესაძლებელია აღნიშნული სიტყვის შემდეგი რეალიზაციები გვქონდეს (იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოთქვამს მას კონკრეტული მოასუბრე): ['sa:le], ['sa:le:], მაგრამ ამ იტალიური სიტყვის ერთადერთი ფონოლოგიური ტრანსკრიფცია არის ['sa:le]. ფონეტიკური ტრანსკრიფცია ცდილობს ზედმინევნით ზუსტად აღწეროს ის, თუ როგორ იქნა წარმოთქმული ესა თუ ის ბერა თუ სიტყვა, შესაბამისად, გადმოსცემს ისეთ მახასიათებლებსაც, რომელთაც არა აქვთ სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია (მაგალითად, ზემოთ მოყვანილ მაგალითში — ['sa:le], ['sa:le:] — ე ხმოვნის სიგრძე-სიმოკლე არცვლის სიტყვის მნიშვნელობას, ე.ი. მას არ აქვს სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია), ფონოლოგიური ტრანსკრიფცია კი იყენებს მხოლოდ იმ სიმბოლოებს, რომლებიც მოცემულ ენაში გამოხატავენ სიტყვათგანმასხვავებელ ბერებს.

2. ფონემა და ფონი

რამდენჯერაც არ უნდა წარმოვთქვათ <i> გრაფემით გამოხატული ბგერა იტალიურად, იმდენჯერ ერთმანეთისგან განსხვავებულ ბგერებს მივიღებთ; ვერასოდეს მოვახერხებთ აბსოლუტურად იდენტური ბგერების წარმოთქმას, ისინი ხან სიგრძით იქნებიან განსხვავებულნი ერთმანეთისგან, ხან ღია-აობის ხარისხით და ა.შ. მაგრამ ასეთი განსხვავება არ იქნება სიტყვათგანმასხვავებელი მანამ, სანამ, თუ ისევ i-ს წარმოთქმას დავუბრუნდებით, ეს ბგერა თავისი ღიაობის გამო არ გადავა e-ში, ამ შემთხვევაში უკვე დაირღვევა ამ ორ ბგერას შორის საზღვარი და მივიღებთ ახალ ფონემას; ეს ორი ხმოვანი სხვადასხვა ფონემებია, რომელიც განასხვავებენ სიტყვებს, მაგალითად: *vile* (მხდალი) – *vele* (იალქნები). ვნახოთ სხვა მაგალითიც: განვიხილოთ ერთი სიტყვის სხვადასხვაგვარი წარმოთქმა, რომელიც შეიძლება დადასტურდეს იტალიური ენის მატარებლებში: პორტა: [ˈporta]; [ˈportʰa]. პირველ შეთხვევაში გვაქვს [t] კბილისმიერი (დენტალური), მეორე შემთხვევაში კი [tʰ] - ასპირირებული. საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა ბგერასთან, თუმცა ჩვენ ვახდენთ მათ ურთიერთჩანაცვლებას ისე, რომ სიტყვის მნიშვნელობა არ იცვლება. ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ორი ბგერა ფონეტიკურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ მათ იტალიურში აქვთ ერთი და იგივე ფუნქცია, კონკრეტულ შემთხვევაში კი სიტყვა *porta*-ს წარმოთქმის დროს. ამგვარად ისინი ერთი ფონემის -/t/ ფონებია. შეგვიძლია მოვიყვანოთ სხვა მაგალითიც; <r> გრაფემით გამოხატული ბგერა იტალიის სხვადასხვა რეგიონებში სხვადასხვაგვარად წარმოითქმის, არსებობს მისი „ფრანგულ მანერაზე“ წარმოთქმაც, მაგრამ ეს სხვადასხვაგვარი წარმოთქმა არ განაპირობებს მნიშვნელობის ცვლილებას, რადგანაც იტალიურში არსებობს მხოლოდ ერთი ფონემა, რომელიც გამოხატულია /r/ გრაფემით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესაძლებელია დავუპირისპიროთ ერთმანეთს *rana* და *lana*, *lino* და *Rino*, მაგრამ შეუძლებელია დავუპირისპიროთ ერთმანეთს *rana* და მისი ისეთი ვარიანტი, სადაც *r* „ფრანგულად“ იქნება წარმოთქმული, რადგანაც

ამგვარი დაპირისპირებით ამ სიტყვის მნიშვნელობა არ შეიცვალება; იტალიურში არ არსებობს *r* თანხმოვნის ამგვარი წარმოთქმით განსხვავებული ორი სიტყვაც კი.

ახლა ვცადოთ და ჩავანაცვლოთ სიტყვაში *porta* თანხმოვანი /t/ თანხმოვნით /c/. მივიღებთ სიტყვას: *porca*. ამგვარმა ჩანაცვლებამ გვიჩვენა, რომ აღნიშნულ თანხმოვნებს აქვთ სიტყვათვანმასხვავებელი ფუნქცია, შესაბამისად, საქმე გვაქვს **ფონემებთან**. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფონემების დადგენა შესაძლებელია **ურთიერთჩანაცვლების წესით**. მაგალითად, სიტყვებში: care, dare, fare, mare, pare, rare - თავკიდური ბგერის ჩანაცვლებით სიტყვების მნიშვნელობები იცვლება, ე.ი. /k/, /d/, /f/, /m/, /p/, /r/ - ფონემებია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი მნიშვნელობის განმასხვავებელი უმცირესი ერთეულებია. თუმცა ფონემის ჩანაცვლების შედეგად შეიძლება მივიღოთ ისეთი სიტყვა, რომელსაც მნიშვნელობა საერთოდ არ გააჩნია (მაგ.: *porfa - თანხმოვანთა ამგვარ თანმიმდევრობას იტალიურში ლექსიკური დატვირთვა არ აქვს);

ფონემა არ არის ერთი ბგერა, ის წარმოადგენს ბგერათა ჯგუფს, აბსრტაქტული ერთეულია. საუბრისას კი ჩვენ წარმოვთქვამთ არა ფონემას, არამედ ბგერებს, ეს ბგერები ერთიანდებიან ფონემებში. ყოველ ადამიანს აქვს თავისი განსაკუთრებული წარმოთქმა, ამიტომაც ერთ ფონემას ისინი სხვადასხვა ბგერებით გამოხატავენ, მთავარია, არ დაირღვეს ის საზღვარი, რომელიც განასხვავებს ერთმანეთისაგან სხვადასხვა ფონემებს. ფონის განსაზღვრა ხდება წარმოთქმის მექანიზმისა და მისი აკუსტიკური ბუნების საფუძველზე, ფონემა კი არის ისეთი ფონი, რომელსაც აქვს სიტყვათვანმასხვავებელი მნიშვნელობა, ის სისტემურად უპირისპირდება სხვა ფონებს და ამიტომაც განასხვავებს სიტყვებს.

3. კომბინაციური და თავისუფალი ვარიანტები

ერთი ფონის შესაძლო რეალიზაცია უსასრულოა, ის იცვლება ადამიანის სქესისა და ასაკის მიხედვით, დამოკიდებულია ადამიანის კულტურაზე, მის სოციალურ გარემოზე, გეოგრაფიულ წარმომავლობაზე, ფიზიკურ მდგომარეობასა და განწყობაზეც კი. მაგალითად, ცნობილია, რომ დეპრესიული ადამიანის ბგერები განსხვავდება იმ ადამიანის ბგერებისაგან, რომელიც ნორმალურ განწყობაზე ან ეიფორიაშია. ამავე დროს ერთმა ადამიანმაც კი შეიძლება სხვადასხვანაირად წარმოთქვას ბგერები იმის მიხედვით, ის გაბრაზებულია თუ მშვიდად გრძნობს თავს, დაღლილია თუ დასვენებული, მხიარულად არის თუ ნაღვლიანად, ნაცნობს ელაპარაკება თუ უცნობს, საზოგადოების წინაშე ლაპარაკობს თუ არა და ა.შ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბგერისათვის მის მეზობელ ბგერასაც, რომელიც მას უსწრებს ან მოსდევს. ხანდახან ეს გავლენა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამ აღნიშნული ბგერის წარმოთქმაში დიდ ცვლილებებს იწვევს. თუ დავაკვირდებით ორი სიტყვის წარმოთქმას: *vento* და *vengo*, შევამჩნევთ, რომ /n/ ბგერის წარმოთქმის დროს ენა სხვადასხვა პოზიციაშია; პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს დენტალურ (კბილისმიერ) ბგერასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში კი ველარულთან (რბილი სასისმიერი). ამ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს სხვადასხვა ფონემებთან, აღნიშნული ბგერები ერთი ფონემის ფონებია, რადგანაც იტალიურ ენაში არ არსებობს სიტყვათა ისეთი წყვილი, რომლის წევრებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მხოლოდ იმის მიხედვით, დენტალურია თუ ველარული *n*, რასაც, მაგალითად, ადგილი აქვს ინგლისურში. ინგლისურში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიტყვები *tin* /tɪn/ და *ting* /tɪŋ/. შესაბამისად, ინგლისურში საქმე გვაქვს ორ ფონემასთან. იტალიურში კი ამ ბგერებს არ აქვთ განმასხვავებელი ფუნქცია, ისინი წარმოადგენენ ერთი ფონემის /n/ სხვადასხვა ვარიანტებს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კომბინაციურ ან პოზიციურ ვარიანტებთან, ანუ ალოფონებთან (*allofoni*). სახელწოდება მომდინარეობს ბერძნულიდან *állos* – “სხვა” და *phónē* – “ბგერა”. ალოფონი იგივე ფონია, რომელსაც

განაპირობებს მისი პოზიცია, მაგალითად სიტყვაში *vento* დენტალური *t*-ს წინ გვაქვს დენტალური [n], ხოლო სიტყვაში *vengo* - ველარული *g* -ს წინ გვაქვს ველარული [ŋ]. ამის მიზეზი არის მექანიკური მოვლენა - მომდევნო ბგერის წარმოთქმისათვის მომზადება.

კომბინაციური ვარიანტების გვერდით გასათვალისწინებელია აგრეთვე **თავისუფალი ვარიანტები** (*varianti libere*), ეს არის ინდივიდუალური ფონეტიკური რეალიზაციები, რომელიც განპირობებული კონკრეტული მოსაუბრის წარმოთქმისათვის დამახასიათებელი გარკვეული დეფექტებით ან ჩვევებით. მას შეუძლია მოგვცეს ინფორმაცია მოსაუბრის გეოგრაფიული, კულტურული და სოციალური წარმომავლობის შესახებ.

4. იტალიური ენის ანბანი ფონეტიკური ტრანსკრიფცია

იტალიური ენა – ერთ-ერთი რომანული ენაა, ის ლათინური ენიდან მომდინარეობს. იტალიურ ანბანში 26 ასოა; ასო-ნიშანი არის ანბანის სიმბოლო.

A a, B b, C c, D d, E e, F f, G g, H h, I i, L l, M m, N n , O o, P p, Q q, R r, S s, T t, U u, V v, Z z, J j, K k, W w, X x, Y y.

ამ 26 ასოდან:

5 – ხმოვანია (a,e,i,o,u);

5 – ნასესხები ასოა (j,k,w,x,y);

h – არც ერთ პოზიციაში არ იკითხება, მას არც ერთი ბგერა არ შეესაბამება;

21 ასოდან (ნასესხები ასოების გარეშე) 11 აღნიშნავს მხოლოდ ერთ ფონემას, ესენია: a, b, d, f, l, m, n, p, r, t, v.

ზოგიერთ გრაფემას შეესაბამება სხვადასხვა ფონემა: მაგ.: <c> სიტყვაში casa და cena.

სანამ იტალიური ანბანის ასოების ფონეტიკურ აღნიშვნაზე გადავალთ, განვიხილოთ საერთაშორისო ფონეტიკურ ტრანსკრიფციაში მიღებული იტალიური ენის ფონემების გამომხატველი ფონეტიკური სიმბოლოები:

ხმოვნები: იტალიურში ხუთი ხმოვანი ასო, მაგრამ შვიდი ფონემაა:

a	pane
ɛ	dente
e	cena
i	vino
ɔ	trova
o	bocca
u	lungo

ნახევართანხმოვნები (იხ. დიფთონგები):

j	ieri
w	luogo

თანხმოვნები:

1	p	paura	12	dz	zero, mezzo
2	b	bambino	13	dʒ	giro, giallo
3	m	mare	14	f	fare
4	t	tana	15	v	vino
5	d	donno	16	s	scala, cassa
6	n	nero	17	z	slavo, casa
7	ɲ	gnomo	18	ʃ	scimmia, scena
8	k	cane, chi, quando	19	r	Roma
9	tʃ	ciao, pace	20	l	leone
10	g	gatto	21	ʎ	gli, maglia
11	ts	zio, pazzo			

ეს კი იტალიური ენის ანბანია, სადაც ყოველ ასოს მიწერილი აქვს მისი ფონეტიკური მნიშვნელობა:

ასო	ასოს სახელ- ნოდება	ფონეტიკური მნიშვნელობა
A a	A a	/a/
B b	“bi”	/b/
C c	“ci”	/k/ - a,o,u ხმოვნების, თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოს /tʃ/ - i და e ხმოვნების წინ
D d	“di”	/d/
E e	“e”	/ɛ/ და /e/ – მახვილიან პოზიციაში /e/ – უმახვილოდ
F f	“effe”	/f/
G g	“gi”	/g/ - a,o,u ხმოვნების, თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოს /dʒ/ - i და e ხმოვნების წინ
H h	“acca”	არ იკითხება
I i	“i”	/i/ - ჩვეულებრივ /j/ - უმახვილო პოზიციაში, როცა მას მოსდევს ხმოვანი
L l	“elle”	/l/
M m	“emme”	/m/
N n	“enne”	/n/
O o	“o”	/ ə / ან /o/ მახვილიან პოზიციაში /o/ - უმახვილო პოზიციაში
P p	“pi”	/p/
Q q	“qu”	/k/ იხმარება მხოლოდ უმახვილო უ ხმოვნის წინ
R r	“erre”	/r/

S s	“esse”	/s/ an /z/ ორ ხმოვანს შორის /s/ - s,c,q,p,t,f თანხმოვნების წინ /z/ - g,b,d,v,l,r,m,n თანხმოვნების ანუ მუღლერი თანხმოვნების წინ
T t	“ti”	/t/
U u	“u”	/u/ - ჩვეულებრივ /w/ - თუ არის უმახვილო და მას მოს- დევს ხმოვანი
V v	“vu” ან “vi”	/v/
Z z	“zeta”	/ts/ ან /dz/

უცხო ენებიდან შესული ასოები

J j	“i lunga:	/j/ - იტალიურ ფონეტიკურ სისტემას მორგებულ უცხო სიტყვებში /jako'bini/ /ʒ/ - ფრანგული წარმოშობის სიტყვებში: jour /ʒuR/ /dʒ/ - ინგლისური წარმოშობის სიტყვებში: James /dʒeimz
K k	cappa”, “kappa”	/k/
W w	“vu” ან „vi doppia”	/v/ იტალიურ ფონეტიკურ სისტემას მორგებულ და გერ- მანულ სიტყვებში: Wanda /'van- da/ /w/ - ინგლისური წარმოშობის სიტყვებში: whisky /'wiski/
X x	“ics”	/ks/: xerocopia /ksero'kopja/ ხანდახან /gz/ - ორ ხმოვანს შო- რის: /ek'sekwo/ ან /eg'zekwo/
Y y	“i greca” ან“ypsilona”	/i/ - Tony /'toni/ /j/ - yacht /jɔt/

4.1. დიგრამა და ტრიგრამა

დიგრამა არის ორი ასოსაგან მიღებული ბერა, მაგალითად, სიტყვაში chilo, ხშული /k/ მიღებულია ch ასოებით; ტრიგრამა კი არის ბერა, რომელიც მიღებულია სამი ასოსგან: სიტყვაში sciarpa – /ʃ/ მიღებულია სამი ასოსგან – sci.

ფონემა წარმოდგენილია დიგრამებითა და ტრიგრამებით შემდეგ შემთხვევებში:

/k/ ch – e,i ხმოვნების წინ: chino /'kino/, schema /'skema/

/g/ gh – e,i ხმოვნების წინ: ghisa /'giza/, lunghe /'lunge/

/n/ gn: vigna /'vippa/

/l/ gl – i ხმოვნების წინ: figli /'fi li/

gli – a,e,o, u ხმოვნების წინ: figlia /'fi lia/; figlie /'fi liə/; figlio /'fi lo/; pagliuzza /pa'uttsa/

/ʃ/ sc – e,i ხმოვნების წინ: scivolare /ʃivo'lare/; scelto /ʃelto/;

sci – a,o, u ხმოვნების წინ: sciame /'fame/; sciocco /ʃ kko/, sciupare /ʃu'pare/

/tʃ/ ci - a,o, u ხმოვნების წინ: ciao /tʃao/, ciò /tʃ o/; ricciuto /rit'tfuto/

/dʒ/ g – e,i ხმოვნების წინ: giro /dʒiro/; gente /dʒente/;

gi - a,o, u ხმოვნების წინ: già /dʒa/, Giotto /'dʒ tto/, giù /dʒu/;

ზოგიერთ შემთხვევაში gl არ არის დიგრამა, რადგანაც ყოველ ასოს ამ ჯგუფში აქვს თავისი ბერადობა: /g+/l/; glicine, anglicano, negligente.

5. იტალიური ენის ფონემების არტიკულაცია

ბგერათა დასახასიათებლად აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რომელი სამეტყველო ორგანოები მონაწილეობენ მათ წარმოქმნაში. შესაბამისად, აუცილებელია ამ ორგანოთა აღნერაც.

იტალიურ ენაში ისევე, როგორც მსოფლიოს უმრავლეს ენებში, ბგერები ჰაერს მოიხმარენ მხოლოდ ამოსუნთქვის (espirazione) მომენტში. ფილტვებიდან ამომავალი ჰაერნაკადი გაივლის **ხორხს** (ანუ ლარინგს), სადაც მას ხვდება პირველი წინააღმდეგობა - **სახმო სიმები**. ეს არის ორი ელასტიკური ბოჭკოვანი კუნთი, რომელიც შეიძლება იყოს ორგვარ პოზიციაში: ღია და დახურულ პოზიციებში. ჩვეულებრივი სუნთქვის დროს სახმო სიმები მოდუნებულია და დაშორებულია ერთ-მანეთს იმგვარად, რომ ჰაერნაკადი თითქმის შეუფერხებლად ამოედინება მათ შორის. ამ დროს სახმო სიმები არ იწვევს რაიმე ტიპის ვიბრაციას ხორხში; სახმო სიმების ღია პოზიციაში ჰაერი რაიმე ცვლილების გარეშე ამოედინება და წარმოითქმის ყრუ თანხმოვანი, როგორიცაა, მაგალითად /p/, /t/, /k/ და სხვ.

სახმო სიმების დახურულ პოზიციაში გამოსული ჰაერის ზემოქმედების შედეგად ისინი (სახმო სიმები) ვიბრირებენ და წარმოიქმნება მუღლერი თანხმოვნები, როგორიცაა: /b/, /d/, /g/... და ხმოვნები /a/, /e/, /i/ ...;

პირის ღრუში მდებარეობს **რბილი სასა** (palato molle, velo del palato, velo palatino), რომელიც ჰყოფს ხახის ზედა ნაწილს პირის ღრუსგან და რომელიც შეიძლება იყოს აწეულ ან დაწეულ პოზიციაში. თუ რბილი სასა აწეულია, ჰაერნაკადი გამოედინება მხოლოდ პირის ღრუდან, ასე მიიღება პირისმიერი ბგერა; თუ სასა დაწეულია, ჰაერნაკადი გამოედინება პირის და ცხვირის ღრუდან ან მხოლოდ ცხვირის ღრუდან (პირის ღრუ დახურული რჩება): პირველ შემთხვევაში მიიღება ნაზალური ხმოვნები, მეორეში კი – ნაზალური თანხმოვნები.

ენის წინა ნაწილი უფრო მოძრავია ვიდრე მისი უკანა ნაწილი. ენა იყოფა შემდეგ ზონებად: ენის წვერი, წინა ენა, შუა ენა, უკანა ენა და ენის ძირი.

პირის ღრუში, კბილების თავზე მდებარეობს **ნუნები** (alveoli), ნუნებს ზემოთ — **მაგარი სასა** (palato duro). საარტიკულაციო აპარატის ყველაზე გარეთა ორგანო არის ტუჩები.

საარტიკულაციო აპარატის ორგანოები იყოფიან აქტიურ და პასიურ ორგანოებად. აქტიური ორგანოები — მოძრავი ორგანოებია, მაგალითად, ენა ან ტუჩები, ხოლო პასიური ორგანოები ის ორგანოებია, რომელთა მიმართაც მოძრაობები აქტიური ორგანოები, მაგალითად, პასიური ორგანოებია სასა, ხახა, კბილები.

ბგერების აღწერისას მნიშვნელოვანია შემდეგი მონაცემები:

- ჰაერნაკადის მიმართულება, რომელიც იტალიურში არის ამომავალი.

- სახმო სიმების მდგომარეობა, რაც განასხვავებს მუღლერ და ყრუ ბგერებს.

- რბილი სასის მდგომარეობა, რაც განასხვავებს ორალურ და ნაზალურ ბგერებს.

არტიკულაციის რაგვარობა — როგორ წარმოითქმის ბგერა.

- არტიკულაციის ადგილი — სად წარმოითქმის ბგერა.

- ტუჩების მდგომარეობა.

განსხვავება ყრუ და მუღლერ, პირისმიერ და ცხვირისმიერ ბგერებს შორის გადამწყვეტია, რადგანაც საშუალებას იძლევა დაუპურისპირდეს ერთმანეთს ის ფონემები, რომლებიც სწორედ ამ მახასიათებლებით განსხვავდებიან ერთმანეთი-საგან (სხვაგვარად რომ ვთქვათ, სწორედ ეს მახასიათებლები გამოყოფენ მათ როგორც ფონემებს), მაგ.: ყრუ ბგერები /p/, /t/, /k/ და მუღლერი ბგერები /b/, /d/, /g/. ამავე დროს /d/ და /b/ თანხმოვნები განსხვავდებიან შესაბამისად /n/ და /m/ თანხმოვნებისაგან მხოლოდ იმით, რომ პირველები პირისმიერნი და მეორენი

ცხვირისმიერნი არიან.

ხმოვნებსა და თანხმოვნებს შორის განსხვავება შეიძლება განვიხილოთ როგორც ფონეტიკური, ისე ფონოლოგიური თვალსაზრისით. ფონეტიკური თვალსაზრისით, ე.ი. ბგერების წარმოთქმის მექანიზმის მიხედვით, მათ შორის განსხვავება შემდეგშია: თანხმოვნები წარმოითქმის საარტიკულაციო ორგანოების ხშირი ან შევიწროების შედეგად, ხმოვნები კი მიიღება ასეთი ტიპის დაბრკოლების გარეშე; მათი წარმოთქმის დროს ჰარმონიული შედარებით თავისუფლად გამოედინება პირის ან ცხვირის ღრუს გავლით. ფონოლოგიური თვალსაზრისით კი ხმოვნები განსხვავდებიან თანხმოვნებისაგან იმის მიხედვით, თუ როგორ განლაგდებიან ისინი ბგერათა თანმიმდევრობაში, როგორც წესი, ხმოვნები მარცვლის თავკიდურ ან ბოლოკიდურ პოზიციაში არიან, თანხმოვნები კი მის შიგნით.

6. იტალიური ენის ხმოვნები

არტიკულაციის მიხედვით ბგერებს ყველაზე ხშირად ხმოვნებად და თანხმოვნებად ყოფენ.

როდესაც ჰაერნაკადი პირის ღრუდან ან პირისა და ცხვირის ღრუდან ერთდროულად ისე გამოედინება, რომ მას რაიმე წინააღმდეგობა არ ხვდება, წარმოითქმის ხმოვანი, ხოლო თუ პირის ღრუ დახურული ან ნახევრად დახურულია (სხვადასხვა შემთხვევებში – სხვადასხვაგვარად), მაშინ წარმოითქმის თანხმოვანი.

ხმოვნების აღწერა ხდება ოთხი პარამეტრის მიხედვით:

- ენის ვერტიკალური მდგომარეობა (რა დონეზე იწევს ენა ქვემოდან ზემოთ);
- ენის ჰორიზონტალური მდგომარეობა (რომელი ზონისკენ – ნუნა-სასისკენ, მაგარი სასისკენ, რბილი სასისკენ – იწევს ენის ყველაზე მაღალი ნაწილი – ზურგი);
- ტუჩების მომრგვალების ხარისხი;
- რბილი სასის მდგომარეობა.

თუ წარმოვიდგენთ ენის ზურგის ყველა პოზიციების ერთიანობას ყველა ხმოვნის წარმოთქმის დროს, მას აქვს ტრაპეციის ფორმა (იხ. გვ.25), რომელსაც ენოდება ხმოვანთა ტრაპეცია. რატომ ტრაპეცია და არა სამკუთხედი, როგორც ეს ტრადიციულად არის მიღებული? იმიტომ რომ, პირის ღრუს წინა ნაწილში უფრო მეტი სივრცეა, ვიდრე პირის ღრუს უკანა ნაწილში, შესაბამისად წარმოთქმის ორგანოებს (ტუჩებსა და ენის წვერს) აქვთ უფრო მეტი მოძრაობის საშუალება.

პირველი პარამეტრი – ენის ვერტიკალური მდგომარეობა – მიუთითებს ენის ანეულობის ხარისხს (ქვემოდან ზემოთ) პირის ღრუში; თუ ხმოვნებს შემდეგი თანმიმდევრობით წარმოვთქვამთ – [i], [e] და [a], შევამჩნევთ, რომ ენა ნელ-ნელა იწევს ქვემოთ. იგივე ხდება როდესაც წარმოვთქვამთ შემდეგ თანმიმდევრობას: [u], [o] და [a]. შესაბამისად, გვაქვს ენის ანეუ-

ლობის შემდეგი ხარისხები:

მაღალი ანეულობა:	[i,u]
საშუალო ანეულობა:	[e,o]
დაბალი ანეულობა:	[a]

ნორმირებულ იტალიურ ენაში დასტურდება სისტემა, რომელშიც ენის ანეულობის ოთხი ხარისხია წარმოდგენილი, რადგანაც საშუალო ანეულობის დონეზე წარმოდგენილია ორი ტიპის ხმოვნები: საშუალო-მაღალი – [e] და [o]; საშუალო-დაბალი – [ɛ] და [ɑ].

ენის ანეულობის დონე შესაძლებელია სხვა ტერმინითაც გამოიხატოს:

დახურული (მაღალი ანეულობის):	[i,u]
ნახევრადდახურული (საშუალო ანეულობის):	[e,o]
ნახევრადღია (საშუალო ანეულობის):	[ɛ] da [ɑ].
ღია (დაბალი ანეულობის):	[a]

ამ ტერმინებით აღნერილია სივრცე ენასა და სასას შორის და ტუჩების გაღების ხარისხი.

როგორც აღინიშნა, ენა მოძრაობს არა მხოლოდ ვერტიკალურად, არამედ ჰორიზონტალურადაც. ენის ჰორიზონტალური მდგომარეობის მიხედვით (ის წინ არის თუ უკან) გასხვავდებიან წინა, შუა და უკანა რიგის ხმოვნები. წინა რიგის ხმოვნების წარმოთქმის დროს შუა ენა იწევს მაგარი სასისკენ; უკანა რიგის ხმოვნების წარმოთქმის დროს ენის ზურგი ანეულია რბილი სასისკენ; [i e a] ხმოვნები – წინა რიგის ხმოვნებია, მათ კიდევ „პალატალურსაც“ (მაგარი სასისმიერი) უწოდებენ, რადგანაც ენა უახლოვდება მაგარ სასას. [ɪ o ɑ] - უკანა რიგის ხმოვნებია, მათ „ველარულებსაც“ (რბილი სასისმიერი) უწოდებენ, რადგანაც ენა უახლოვდება რბილ სასას. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, [a] ხმოვანი არ არის წინა რიგის, ის შუა რიგის, სხვანაირად – „პრეველარულია“.

ფონოლოგიურ ოპოზიციას ხმოვანთა სამკუთხედის უკიდურეს ხმოვნებს შორის შეიძლება დავაკვირდეთ შემდეგ მინიმალურ რიგში:

pizzo – pazzo – puzzo, რომელსაც შეიძლება დაემატოს აგრეთვე
p [ɛ]zzo და p[o]zzo.

ოპოზიციას ნახევრადდახურულ და ნახევრადღია ხმოვნებს
შორის : /ɛ/- /e/ და / /- /o/ – შეიძლება დავაკვირდეთ შემდეგ
მინიმალურ წყვილებში:

/ɛ/- affetto - სიყვარული; è - არის;

/e/- affeto - ვჭრი ნაჭრებად; e - და (კავშირი);


/ / - botte - დარტყმა; ho - მაქვს;

/o/- botte - ღვინის კასრი; o - ან (კავშირი);

ხმოვნების წარმოთქმის დროს მნიშვნელოვანია ასევე
ტუჩების მდგომარეობა; მომრგვალებულია თუ არა ისინი. მომ-
რგვალებული ტუჩები ახასიათებს ე.წ. „ლაბიალიზებულებს“,
ეს არის უკანა რიგის ხმოვნები, ხოლო არალაბიალიზებულნი
არიან წინა რიგის ხმოვნები.

და ბოლოს, ხმოვნების წარმოთქმის დროს მნიშვნელობა
აქვს აგრეთვე რბილი სასის მდგომარეობას. ის აწეულია ე.წ.
„პირისმიერი“ ხმოვნების წარმოთქმის დროს და დაწეულია ე.წ.
„ცხვირისმიერი“ ხმოვნების წარმოთქმის დროს. თუმცა იტალ-
იურისთვის ეს არ არის პირველადი მნიშნელობის, რამეთუ
იტალიურში არ არსებობს მინიმალური წყვილი, რომელიც წაზ-
ალიზაციის არსებობით/არ არსებობით იქნება განსხვავებული.
ის მნიშვნელოვანია ფრანგულში. იტალიური ენის ხმოვნები
წაზალიზაციით ხასიათდებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი წაზ-
ალური თანხმოვნების გვერდით აღმოჩნდებიან, მაგრამ ეს არის
ე.წ. „კოარტიკულაციის“ შედეგი და მას არ გააჩნია ფონოლო-
გიური მნიშვნელობა.

- წინა
(პალატალური)
- შუა
- უკანა
(ველარული)
1. მაღალი ანეულობის
(დახურული)
 2. საშუალო-მაღალი ანეულობის
(ნახევრად დახურული)
 3. საშუალო-მაღალი ანეულობის
(ნახევრად დახურული)
 4. დაბალი
(ღია)



ხმოვანთა ტრაპეციის ან სამკუთხედის მიხედვით იტალიურში წარმოდგენილია შემდეგი წინა რიგის ხმოვნები:

/a/= წინა (ან შუა) რიგის, დაბალი ანეულობის, მაქსიმალურად ღია ხმოვანი.

/e/= წინა რიგის, საშუალო-დაბალი ანეულობის ხმოვანი ან ღია პალატალური (მაგ.: zero).

/e/= წინა რიგის, საშუალო-მაღალი ანეულობის ხმოვანი ან დახურული პალატალური (réte).

/i/= წინა რიგის, მაღალი ანეულობის ან მაქსიმალური დახურულობის პალატალური ხმოვანი.

უკანა რიგის ხმოვნები:

/ə/= უკანა რიგის, საშუალო-დაბალი ანეულობის ხმოვანი ან ღია ველარული (რბილი სასისმიერი) (მაგ.: nòve).

/o/= უკანა რიგის, საშუალო-მაღალი ანეულობის ხმოვანი ან დახურული ველარული (sóno)

/u/= უკანა რიგის, საშუალო-მაღალი ანეულობის ხმოვანი ან მაქსიმალური დახურულობის ველარული.

7. კოარტიკულაცია

ბგერები არ არის სტატიკური ელემენტები. ბგერების წარმოთქმის დროს ჩვენი საარტიკულაციო აპარატი იწყებს ძალიან სწრაფ მოძრაობას. გარკვეული ფონის წარმოთქმის შემდეგ ისინი ემზადებიან მისი მომდევნო ფონის წარმოსათქმელად. კოარტიკულაცია აღნიშნავს ისეთ მოვლენას, როდესაც ხდება ბგერათა წარმოთქმის „ერთმანეთზე დადება“, რაც იმას ნიშნავს, რომ ბგერა განიცდის მის მომდევნო ან წინა ბგერის გავლენას, ის კი თავის მხრივ გავლენას ახდენს თავის მომდევნო ბგერის წარმოთქმაზე და ა.შ. ამ მოვლენის ერთ-ერთი შედეგია ასიმილაცია, რომელიც შეიძლება იყოს სრული და ნაწილობრივი. მაგალითად, იტალიური სიტყვა *latte*, რომელიც მომდინარეობს ლათინურიდან *LACTE* - წარმოადგენს სრული ასიმილაციის მაგალითს (*C* გრაფემით წარმოადგენილმა თანხმოვანმა მომდევნო თანხმოვნის გავლენით სრული ასიმილაცია განიცადა). ნაწილობრივი ასიმილაციის მაგალითს წრმოადგენს ნაზალური (*ცხვირისმიერი*) თანხმოვნის ასიმილაცია სიტყვაში *ancora* მომდევნო თანხმოვნის გავლენით.

ასიმილაცია ასევე შეიძლება იყოს რეგრესული და პროგრესული. რეგრესული ასიმილაციის დროს ფონი „ემსგავსება“ თავის მომდევნო ფონს, როგორც, მაგალითად, სიტყვაში *fatto* ლათინური *FACTU*-დან, ან ყრუ [s] თანხმოვნის გამუღერება სიტყვაში *sveglia* - მომდევნო მუღერი თანხმოვნის – [v] -ს გავლენით. პროგრესული ასიმილაციის დროს კი ხდება საპირისპირო მოვლენა, როგორც, მაგალითად, რუმინულში *tunuku* (სამყარო, იტალ. *mondo*) ლათინური *MUNDU*-დან. როგორც წესი, უფრო ხშირია რეგრესული ასიმილაცია ვიდრე პროგრესული. ფონის წარმოქმნის დროს ორგანოები გადაადგილდებიან, გადაიწევიან იმ პოზიციებისკენ, რომელიც აუცილებელია შემდეგი ფონის წარმოსაქმნელად. ამას ყველაფერს განაპირობებს ჩვენი საარტიკულაციო აპარატი, რომელსაც ახასიათებს ტენდენცია, შეძლებისდაგვარად ნაკლები ენერგია დახარჯოს. ბოლოს უნდა ითქვას ისიც, რომ ნაკლებად ფორმალური საუბრის დროს,

როდესაც მოსაუბრე არ აქცევს ყურადღებას წარმოთქმას, კო-
არტიკულაციის დონე მაღალია და პირიქით, ფორმალური საუ-
ბრის დროს კოარტიკულაციის დონე დაბალია.

8. თანხმოვანთა სისტემა იტალიურ ენაში

თანხმოვანი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ბგერათწარმომქმნელ ჰაერნაკადს ხვდება რაიმე სახის დაბრკოლება; პირის ღრუ იხურება სრულიად ან ნახევრად რაიმე ადგილას რომელიმე შემდეგი ორგანოს მიერ (ან რამდენიმე ორგანოს მიერ ერთდროულად): ენა, ტუჩები, კბილები, სასა. თანხმოვანთა კლასიფიკაციის დროს ყურადღება ექცევა შემდეგ პარამეტრებს:

- ხორხისმიერი მექანიზმის არსებობა/არარსებობა (meccanismo laringeo) (რაც განასხვავებს მუღლერ და ყრუ ბგერებს).
 - არტიკულაციის (წარმოთქმის) რაგვარობა (როგორ მიიღება ესა თუ ის თანხმოვანი).
 - არტიკულაციის (წარმოთქმის) ადგილი.
- სწორედ ამ სამი პარამეტრის კომბინაციების საშუალებით აღიწერება მთელი თანხმოვანთა სისტემა.

8.1. იტალიური ენის თანხმოვნები მათი არტიკულაციის რაგვარობის მიხედვით

არტიკულაციის მიხედვით საარტიკულაციო ორგანოებს შორის კონტაქტი შეიძლება იყოს სრული (დროის რაღაც მინიმალური მონაკვეთით მთლიანად ჩერდება ჰაერნაკადის გარეთ გამოსვლა) ან ნაწილობრივი; ჰაერნაკადზე გავლენას ახდენს საარტიკულაციო ორგანოების შევიწროების სხვადასხვა დონე. პირის არხში შესაძლებელია შემდეგი ოთხი ტიპის შევიწროება:

- სრული ხშვა (ხშულები, ნაზალები, აფრიკატები; იხ. ქვემოთ)
- წყვეტილი ხშვა (პოლივიბრანტები, მონოვიბრანტები)
- ნაწილობრივი ხშვა (ლატერალები)
- შეკუმშვა (ფრიკატივები)

არტიკულაციის რაგვარობის მიხედვით გამოიყოფა შემდეგი თანხმოვნები: ხშულები, აფრიკატები, ნაზალები, ვიბრანტები, ფრიკატივები, ლატერალები, აპროქსიმანტები — „ნახევარხმოვნები“ (ხშულებში ადგილი აქვს სრულ ხშვას, ხოლო აპროქსიმანტები კი ყველაზე მეტად უახლოვდება ხმოვნებს).

ხშულებში (occlusive) ჰაერნაკადის გამოსვლა დროის რაღაც მცირე მონაკვეთით მთლიანად იხმობა. სიჩუმის ამ ფაზას (როდესაც ჰაერი „შეკავებულია“) მოყვება ხმაური („აფეთქება“) - განხშვა, რადგანაც დაგროვილი ჰაერნაკადი მკვეთრად გამოედინება გარეთ. „აფეთქების“ ფაზა ძალიან მოკლეა და მისი გაგრძელება ჩვენი სურვილისამებრ შეუძლებელია. იტალიური ენის ხშულებია:

/p t k / (pane, tana, cane) - მათი წარმოთქმის დროს არ ხდება ხმის სიმების ვიბრაცია; ეს ყრუ თანხმოვნებია;

/b d g / (base, dono, gara) - მათ წარმოთქმას კი ახლავს ხმის სიმების ვიბრაცია; ეს მუღერი თანხმოვნებია;

ფრიკატივების წარმოთქმისას (ხშულებისაგან განსხვავებით)

საარტიკულაციო ორგანოებს შორის რჩება ნაპრალი, რომლის საშუალებითაც გარეთ გამოდის ჰაერნაკადი, სწორედ იმ ჰაერნაკადის გამო, რომელიც შიგნიდან გარეთ უწყვეტად გამოდის, მათ „უწყვეტ თანხმოვნებს“ (continue) და სპირანტებს (spiranti) უწოდებენ. იტალიური ენის ფრიკატივებია:

/f s ſ/ (faro, storia, scialle) - მათი წარმოთქმის დროს ადგილი არ აქვს სახმო სიმების ვიბრაციას.

/v z/ (vino, sbadato) - მათი წარმოთქმის დროს ადგილი აქვს სახმო სიმების ვიბრაციას.

/s ſ z (ჰ)/ ფონებს სიბილანტებსაც უწოდებენ, ისინი ფრიკატივების ქვეკლასს წარმოადგენენ, მაგრამ სხვა ფრიკატივებისაგან განსხვავებით, მათ უფრო მკვეთრი ჟღერადობა ახასიათებთ. [ჰ] ფონი ფრჩხილებშია, რადგანაც ის არ შედის იტალიური ენის ფონოლოგიურ შემადგენლობაში, მას მხოლოდ ფრანგულ ნასესხობებში ვხვდებით, მაგ.: [ga'raჰ] (სხვათა შორის, ის წარმოდგენილია ტოსკანურშიც).

აფრიკატებს ახასიათებს რთული წარმოთქმა, მათში შერწყმულია ხშულებისა და ფრიკატივების მახასიათებლები. აქ საქმე გვაქვს თანხმოვნებთან, რომელთა წარმოთქმაც ორ ფაზად ხდება. პირველ ფაზაში ადგილი აქვს სახმო სიმების სრულ დახურვას (ხშვას), მეორე ფაზაში კი ნაწილობრივ დახურვას. იტალიურში ოთხი აფრიკატია:

/ts/ და /tʃ/ - ყრუ; ზიო, ცენა;

/dz/ და /dʒ/ - მჟღერი; - zucchero, genio;

ნაზალურ (ცხვირისმიერი) თანხმოვნებს ორალურებისაგან (პირისმიერი) განსხვავებით ახასიათებთ რბილი სასის დაწეული მდგომარეობა. ნაზალურების წარმოთქმის დროს ისევე, როგორც ხშულების წარმოთქმის დროს, ხდება სრული ხშვა, მაგრამ მათი ხშვა არ არის მომენტალური, ის გრძელდება დროში და ამ დროს ჰაერნაკადი გამოსასვლელს ცხვირის ღრუდან პოულობს. იტალიურში სამი ნაზალური თანხმოვანია: /m n ŋ/ (mano, naso, gnocco); კიდევ ორი ალოფონის (ერთი ფონის პოზიციური ვარიანტები) გათვალისწინებით [ყ] და [ჸ] კი მათი რიცხვი ხუთს აღწევს: anfora, ancora.

ვიბრანტებში (მთრთოლი ბგერები) ჰაერნაკადი, რომელიც

პირის ღრუს საშუალებით გამოედინება, ენას ვიბრირებას აი-ძულებს. იტალიურში მხოლოდ ერთი ვიბრანტია - /r/ (rana, pera), თუმცა, რეგიონების მიხედვით ამ თანხმოვნის წარმოთქმის ბევრი სხვადასხვა ვარიანტი არსებობს. წორმირებულ იტალიურ ენაში ის პოლივიბრანტია, ე.ი. მისი წარმოთქმის დროს ენა რამდენიმეჯერ ედება ნუნებს.

ლატერალების წარმოთქმის დროს ჰაერნაკადს წინააღმდეგობა ელობება პირის ღრუს ცენტრში და ის გამოსასვლელს ენის გვერდებიდან პოულობს. იტალიურში ორი ლატერალი თანხმოვანია: [l] (lino) და [ʎ?] (gli, paglia). ზოგი მეცნიერის აზრით, ლატერალები აპროქსიმანტების ჯგუფში შედის. როგორც მათი სახელიდან ჩანს, მათი წარმოთქმისას არ ხდება ორგანოების ერთმანეთთან შეხება; აქტიური ორგანო ძალიან უახლოვდება პასიურს, მაგრამ არ ეხება მას. აპროქსიმანტების ჯგუფს მიეკუთვნებიან “ნახევარხმოვნები” და “ნახევართანხმოვნები”, რომელთა სახელიც მათ განსაკუთრებულ სტატუსზე მიუთითებს. წარმოთქმის თვალსაზრისით აპროქსიმანტები ჰგვანან ხმოვნებს, მაგრამ ფონოლოგიური თვალსაზრისით ისინი თანხმოვნებს უფრო უახლოვდებიან, რადგანაც დამოუკიდებლად მათ არ შეუძლიათ მარცვლის შექმნა.

ნაზალების, ვიბრანტების, ლატერალების და აპროქსიმანტების წარმოთქმის დროს ხმის სიმები განუწყვეტლივ ვიბრირებენ, ამიტომაც ისინი ყოველთვის მუღერია. ხშულები, ფრიკატივები და აფრიკატები შეიძლება მუღერებიც იყვნენ და ყრუებიც.

8.2. იტალიური ენის თანხმოვნები მათი არტიკულაციის ადგილის მიხედვით

ნებისმიერი თანხმოვანი წარმოითქმის საარტიკულაციო აპარატის კონკრეტულ წერტილში, დაწყებული საარტიკულაციო აპარატის ყველაზე გარეთა ორგანოებით – ტუჩებით და დამთავრებული ყველაზე შიგა ორგანოთი – რბილი სასით. შესაბამისად, გამოიყოფა შემდეგი თანხმოვნები:

ბილაბიალური (ბაგისმიერი), ლაბიოდენტალური (კბილბაგისმიერი), დენტალური (კბილისმიერი), ალვეოლარული (ნუნისმიერი), პოსტალვეოლარული (ნუნა-სასისმიერი), პალატალური (მაგარი სასისმიერი) და ველარული (რბილი სასისმიერი).

ბილაბიალურის წარმოთქმაში მონაწილეობს ორივე ტუჩი, იტალიურში ასეთი სამი თანხმოვანია: ორი ხშული /p/ /b/ და ერთი ნაზალური /m/.

ლაბიოდენტალური ბერები. იტალიურში ასეთია ორი ფრკატივი /f/ და /v/ და ნაზალური ალოფონი [ষ], რომელიც კოარტიკულაციის გამო ლაბიოდენტალური თანხმოვნების /f/ და /v/-ს გვერდით რეალიზდება როგორც ლაბიოდენტალური; ამის საილუსტრაციოდ საკმარისია, შევადაროთ ერთმანეთს ნაზალურის წარმოთქმა სიტყვაში: invece [iɛ'vetʃe] და infarto [iɛ'farto] და სიტყვებში indizio [in'dittsjo], canto ['kanto], pancia ['pantʃa] და სხვ. (ხანდახან ბილაბიალური და ლაბიოდენტალური შეიძლება გაერთიანდნენ ლაბიალურების კატეგორიაში).

იტალიური ენის ფონემებს შორის არ არსებობს ნამდვილი დენტალური თანხმოვნები (თუმცა, /t/ და /d/ ზოგიერთ კლასიფიკაციაში დენტალურადაა მიჩნეული); ასეთია, მაგალითად, ინგლისური th.

ალვეოლარული (ნუნისმიერი) თანხმოვნების კლასი იტალიურში ძალიან მრავალრიცხოვანია, ისინი მიიღება ენის წვერის მიდებით ზედა ნუნებთან; ალვეოლარულებია ხშულები /t/ და /d/; ფრიკატივები /s/ და /z/, აფრიკატები /ts/ და /dz/, ლატერალი /l/, ნაზალი /n/ და ვიბრანტი /r/.

ნუნების უკან არის წამოთქმის კიდევ ერთი ადგილი და ამგვარად მიღებულ თანხმოვნებს ნუნა-სასისმიერი – „პოსტალვეოლარულები“ ან „პალატოალვეოლარულები“ ეწოდებათ, ასეთებია ფრიკატივები /ʃ/ და /ʒ/ (რომელიც არ არის იტალიური ფონემა) და აფრიკატები /tʃ/ /dʒ/.

პალატალურების (მაგარი სასისმიერი) კლასიც მრავალრიცხოვანია. აქ შედის ის ბგერები, რომლებიც მიიღება ენის ზურგის კონტაქტით მაგარ სასასთან. პალატალურებია ნაზალური /p/ მაგ., სიტყვაში *paglia*, ლატერალი /N/ მაგალითად, სიტყვაში *ieri*.

ველარული თანხმოვნები (რბილი სასისმიერი) – წარმოითქმის პალატალური თანხმოვნების უკან, ისინი მიიღება ენის ზურგის კონტაქტით რბილ სასასთან. ველარულებია ხშულები /k/ და /g/, ნაზალური ალოფონი /ŋ/ მაგალითად, სიტყვებში: *panca*, *fango* რაც არის კოარტიკულაციის შედეგი. ნამდვილი ველარულია აპროქსიმანტი /w/, მაგალითად, *somo*.

იტალიური ენის თანხმოვანი ფონემები არტიკულაციის ადგილისა და რაგვარობის მიხედვით:

ადგილის მიხ.	ლაპი- ალური	ლაპიო- დენტა- ლური	ალვეო- ლარუ- ლი	პოსტ- ალვეო- ლარუ- ლი	პალა- ტა- ლური	ვე- ლარ- ული
რაგვარბის მიხ.						
ხშულები	p b		t d			k g
აფრი- კატები			ts dz	tʃ dʒ		
ნაზალები	m	[ŋ]	n		p	[ɳ]
ვიბრანტი			r			
ფრიკა- ტივი		f v	s z	ʃ [ʒ]		
ლატერა- ლი			l		λ	
აპროქსი- მანტი					j	w

ეს კი თანხმოვან ფონემათა სრული დახასიათებაა:

ფონემა	გრაფემა	ფონეტი-კური დახა-სიათება	მაგალითი	ფონოლო-გიური ტრან-სკრიფცია
/p/	p	ხშული, ბილაბი- ალური, ყრუ	palla	/'palla/
/b/	b	ხშული, ბილაბიალ- ური, მუღე- რი, პირის- მიერი	bello	/'bello/
/m/	m	ხშული, ბილაბი- ალური, მუღერი, ცხვირის- მიერი	mare	/'mare/
/t/	t	ხშული, კბილის- მიერი, ყრუ	tela	/'tela/
/d/	d	ხშული, კბილის- მიერი, მუღერი, პირის- მიერი	donna	/'d nna/

/n/	n	ხშული, კბილის- მიერი, მჟღერი, ცხვირის- მიერი	nero	/'nero/
/ŋ/	gn	ხშული, პალატა- ლური, მჟღერი, ცხვირის- მიერი	gnocchi	/'ŋ kki/
/k/	c (+a,o,u) ch(+e,i) q(+ua, ue,ui,uo)	ხშული, ველარუ- ლი, ყრუ	casa chilo quadro	/'kasa/ /'kilo/ /'kwadro/
/g/	g(+a,o,u) gh(+e,i)	ხშული, ველარუ- ლი, მჟღერი	gatto ghiro	/'gatto/ /'giro/
/ts/	z	აფრიკატი, ალვეო- ლარული, ყრუ	zio	/'tsio/
/dz/	z	აფრიკატი, ალვეო- ლარული, მჟღერი	zero	/'dzero/
/tʃ/	c(+e,i)	აფრიკატი, პრეპალა- ტალური, ყრუ	cera	/'tʃera/

/dʒ/	g(+e,i)	აფრიკატა, პრეპალა- ტალური, მჟღერი	giro	/'giro/
/f/	f	უწყვეტი ლაბიოდენ- ტალური, ყრუ	fare	/'fare/
/v/	v	ფრიკა- ტივი, ლაბიოდენ- ტალური, მჟღერი	vedo	/'vedo/
/s/	s	ფრიკატი- ვი, ალვეო- ლარული, ყრუ	sera	/'sera/
/z/	s	ფრიკატი- ვი, ალვეო- ლარული, მჟღერი	smilzo	/'zmilzo/
/ʃ/	sc(+e,i) sci(+a,o,u)	ფრიკატი- ვი, პრე- პალატალ- ური, ყრუ	scena sciame	/'ʃena/ /'same/
/r/	r	ფრიკატი- ვი, ალვეო- ლარული, ვიბრანტი	rana	/'rana/

/l/	l	ფრიკატი-ვი, ალვეო-ლარული, ლატერალი	luna	/'luna/
/λ/	gl (+i) gli (+ a,e,o,u)	ფრიკატი-ვი, ლატერ-ალი, პალა-ტალური	gli taglio	/λi/ 'taλλo/

9. იტალიური ხმოვნებისა და თანხმოვნების სიგრძე

ლათინურში დასტურდება გრძელი და მოკლე ხმოვნები და ხმოვნის სიგრძე—სიმოკლეს ფონოლოგიური მნიშვნელობა აქვს, მაგალითად: *pālus* - “*palo*” და *pālus* – “*palude*”. იტალიურში ეს განსხვავება არ არსებობს, მაშასადამე ვიტყვით: [’me:la], [’me::la] თუ [’me:::la] — სიტყვის მნიშვნელობა არ იცვლება; ასეთმა წარმოთქმამ შეიძლება უბრალოდ მიუთითოს რაიმე ემფატიკურ მახვილზე თუ მოსაუბრის გუნება-განწყობაზე. იტალიურში ხმოვნის სიგრძე არ არის დაკავშირებული მხოლოდ სტილისტურ ფაქტორებთან, ისინი გრძელია გარკვეულ პოზიციაში, რადგანაც ხმოვნის სიგრძე დამოკიდებულია მარცვლის სტრუქტურაზე: გრძელია ის მახვილიანი ხმოვნები, რომლებიც სიტყვის შუაში, ღია მარცვალშია (ანუ მარცვალში, რომლის ბოლოკიდურიც ხმოვანია). მაშასადამე, მახვილიანი ა სიტყვაში /pa.ne/ უფრო გრძელია, ვიდრე სიტყვაში /par.te/ და /cſit'ta/ .

რაც შეეხება თანხმოვნების სისტემას, იქ სიგრძე ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია. ამ თვალსაზრისით იტალიური ენის თანხმოვნები იყოფა სამ ჯგუფად:

1. პირველ ჯგუფში შევა შემდეგი თხუთმეტი თანხმოვანი: /p b t d k g tʃ dʒ f v s m n l r/, რომლებიც მარტივი (“scempie”) და გაორმაგებული, გაძლიერებული ან ორმაგი თანხმოვნების (“geminate”, “rafforzate”, “doppie”) სახით უპირისპირდებიან ერთმანეთს და მინიმალურ წყვილებს ქმნიან, მაგალითად: *pala* /'pala/- *palla* /'pal:a/. გაორმაგებული თანხმოვნებისადმი ორგვარი მიდგომა არსებობს; პირველი მათ დამოუკიდებელ ფონემად მიიჩნევს, ანუ /l/, „მონოფონემურია“ (monofonematicho) და სიტყვის სტრუქტურაში ერთი მარცვლის შემადგენლობაში შევა: *pa-lla*; ასეთი მიდგომის შედეგად იტალიურში ფონემების რაოდენობა გაიზრდება ოცდაერთიდან ოცდათექვსმეტამდე. მეორე შეხედულების თანახმად (და მას მეცნიერების უმრავლესობა იზიარებს), გაორმაგებული თანხმოვნები „ბიფონემურია“ (bifonematiche) და განიხილება როგორც ერთი ფონემის გამეორება.

სიტყვის სტრუქტურაში გაორმაგებული თანხმოვნებიდან ერთი თანხმოვანი ერთ მარცვალში ხვდება, მეორე კი მეორეში: pal-la.

2. მეორე ჯგუფში შევა აფრიკატები /ts dz/ და პალატალური თანხმოვნები /ʃ ɿ ɭ/, რომელთაც ახასიათებთ აღნიშნული თვისება ხმოვნებს შორის, ან ხმოვანსა და /j/ და /w/ ნახევარხმოვნებს შორის პოზიციებში; ესენი არსობრივად ორმაგი (“geminate intrinseche”) თანხმოვნებია: mezzo – me[ddz]o, ascia – a[ʃʃ]a, bagno – ba[ɸɸ]o, paglia - pa[ɬɬ]a, azione – a[tts]jone (ფონეტიკური ტრანსკრიფციით მათი ჩაწერა შესაძლებელია ორგვარად: ან ორმაგდება ფონის სიმბოლო, როგორც ეს მოტანილ მაგალითებშია, ან დიგრამის პირველი სიმბოლოს შემდეგ იწერება ორი წერტილი, მაგალითად: me[d:z]o)

3. მესამე ჯგუფში შედის ყოველთვის მოკლე, მარტივი (“scem-pie”) თანხმოვნები: [z], [j] და [w].

10. ნახევართანხმოვნები

იტალიურში არსებობს პალატალური ნახევარხმოვანი /j/, რომელსაც ეწოდება “*jod*“ და ველარული ნახევართანხმოვანი /w/, რომელსაც ეწოდება “*uaus*”. საერთოდ, ნახევართანხმოვნებად იწოდება ისეთი ფონები, რომელთა წარმოთქმის დროს პირის ღრუ, რომელიც უნდა გაიაროს ჰაერნაკადმა, ვინროვდება უფრო მეტად, ვიდრე დახურული ხმოვნების წარმოთქმის დროს; შესაბამისად, მიიღება ბგერა, რომელიც არის საშუალო ხმოვანსა და თანხმოვანს შორის.

ყველა მეცნიერი არ გამოყოფს აღნიშნულ ნახევართანხმოვნებს შესაბამისი ხმოვნებისაგან; მართლაც, საკმაოდ ცოტაა ის მინიმალური წყვილები, რომლებიც მხოლოდ ამ ნიშნის მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან:

/j/: *alleviamo* - /alle'vjamo/ სიტყვიდან *allevare* (აღზრდა, გაზრდა) და /*allevi'amo*/ სიტყვიდან *alleviare* (შემსუბუქება);

/w/: *la quale* /la'kwale/ და *lacuale* /laku'ale/ (ტბის, ტბისპირა)

ნახევართანხმოვნები წარმოდგენილია დიფთოგნებში.

11. დიფთონგები და ტრიფთონგები

წარმოთქმის დროს ხმოვანი მნიშვნელოვნად შეიძლება შეიცვალოს. როდესაც მიჯრით ორი ხმოვნის წარმოთქმის დროს ენა მხოლოდ ერთხელ გადაადგილდება ანუ ორი ხმოვანი ხმის ერთი შემართვით წარმოითქმის, საქმე გვაქვს დიფთონგთან (piede, uomo, noi), ხოლო თუ სამხმოვნიანი კომბინაციის წარმოთქმისას ენა ორჯერ გადაადგილდება, მაშინ საქმე გვაქვს ტრიფთონგთან (miei). როგორც დიფთონგში, ისე ტრიფთონგში ხმოვანი ელემენტები ერთ მარცვალს მიეკუთვნება. მხოლოდ ორი მაღალი ანეულობის ხმოვანი [i] და [u] კარგავს თავის “ხმოვნის ბუნებას” და შეუძლია იყოს დიფთონგის პირველი ან მეორე ელემენტი; “ხმოვნის ბუნების დაკარგვა” ნიშნავს იმას, რომ ამ ხმოვნებს აღარ აქვთ მარცვლის შექმნის უნარი, მათ ახასიათებთ უფრო სწრაფი და დახურული წარმოთქმა. რატომ არის მხოლოდ ეს ორი ხმოვანი ჩართული რედუქციის ამ მოვლენაში? ეს აიხსნება ფონეტიკური მიზეზით; დიფთონგიზაციის პროცესში ფონეტიკურად უფრო სუსტი ხმოვნებია ჩართული, ე.ი. მაღლები, რადგანაც ისინი შედარებით უფრო მოკლენი და დახურულნი არიან (ერთნაირ პირობებში [a] ხმოვნის საშუალო ხანგრძლივობა უფრო დიდია, ვიდრე [i]-ს საშუალო ხანგრძლივობა).

ტრადიციული კლასიფიკაციის მიხედვით განვასხვავებთ ალმავალ და დალმავალ დიფთონგებს, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ასილაბური (მარცვლის არ წარმომქმნელი) ელემენტი უსწრებს ან მოსდევს სილაბურ (მარცვლის წარმომქმნელ) ხმოვანს.

ალმავალ დიფთონგებში ასილაბური ელემენტი (წახევართანხმოვანი) წინ უსწრებს ხმოვანს, შესაბამისად მასში მატულობს ღიაობა და სონორობა (ხმიერობა).

დალმავალ დიფთონგებში ასილაბური ელემენტი (წახევარხმოვანი) მოსდევს ხმოვანს, ამიტომ ღიაობისა და სონორობის

ნარისხი მცირდება. [j w] – ნახევართანხმოვნებია, [i ɥ] - ნახევარხმოვნები. განსხვავებული სიმბოლოების გამოყენება განპირობებულია ფიზიკური მახასიათებლებით: ნახევართანხმოვნები უფრო დახურულია ვიდრე ნახევარხმოვნები და, მაშასადამე, ისინი უფრო ჰგვანან თანხმოვნებს.

სილაბური ხმოვანი	[i]	[e]	[ɛ]	[a]	[ɔ]	[o]	[u]
აღმავალი დიფთონგი [?] ნახევარ- თანხმოვნით	-	[je] vec- chie	[jɛ] pieno	[ja] piano	[jɔ] iodo	[jo] ione	[ju] fieu- to
აღმავალი დიფთონგი [w] ნახევარ- თანხმოვნით	[wi] qui	[we] quello	[wɛ] guerra	[wa] quale	[wo] buono	[wɔ] fles- suo- so	-
დაღმავალი დიფთონგი [i] ნახევარხ- მოვნით	-	[ei] nei	[ɛi] lei	[ai] mai	[ɔi] poi	[ɔi] noi	[ui] cui
დაღმავალი დიფთონგი [u] ნახევარხ- მოვნით	-	[eu] Eu- ropa	[ɛu] feudo	[au] idrau- lico			

ტრიფთონგები იშვიათად გვხვდება, ისინი აღმავალ-დაღმავალნი ან აღმავალნი არიან.

აღმავალ-დაღმავალი ტრიფთონგების აგებულება ასეთია: ნახევართანხმოვანს + ხმოვანი + ნახევარხმოვანი, მაგალითად: miei [mjɛi], suoi [swoi];

დაღმავალი ტრიფთონგების კი შემდეგი: ორ ნახევართანხმოვანს + ერთი ხმოვანი: reliquia [re'likwja], aiuola [a'jwɔla].

სხვა ორხმოვნიან თანმიმდევრობაში, რომლის შემადგენლობაშიც შედის /a ε ə o/ ხმოვნები, მაგალითად, beato, poeta, leone, boato, maestro - ადგილი არ აქვს დიფთონგიზაციას, ე.ი. საქმე ორ დამოუკიდებელ მარცვალთან გვაქვს; ამ მოვლენას – ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობას სიტყვის შიგნით ან სიტყვის ბოლოსა და მომდევნო სიტყვის თავკიდურში – ჰიატუსი (ლათინურიდან hiatus – „გახსნილობა, დაშორება“) ეწოდება. იგივე მოვლენა ფიქსირდება ხმოვანთა ისეთ კომბინაციაში, რომელშიც [i] ან [u] მახვილიანია და [a], [e] ან [o] – უმახვილოა: Lucia, paura, due, mormorio, suo და სხვ.

მაშასადამე, ჰიატუსს ადგილი აქვს შემდეგ შემთხვევებში:

- როდესაც სიტყვაში არ არის წარმოდგენილი i და u ხმოვნები: pa-ese, corte-o;
- როდესაც i და u ხმოვნები მახვილიანია: spi-a, pa-ura;
- ri- პრეფიქსის შემდეგ: ri-unione, ri-avere (რადგანაც ისევ იგრ- ძნობა გაყოფა პრეფიქსსა და ფუძეს შორის; ასეთივე შემთხვევებია: bi-ennio, tri-angolo).

11.1. მოძრავი დიფტონგები

მოძრავი დიფტონგი იტალიურში ორია: **uò** /wo/ და **iè** /je/; საიდან მოდის ეს სახელწოდება? განვიხილოთ სიტყვა *muovere*; როგორც ვხედავთ, ამ სიტყვაში წარმოდგენილია დიფტონგი **uò** /wo/, მაგრამ თუ მას შევადარებთ სიტყვას *movimento*, დავრწმუნდებით, რომ დიფტონგი ჩაანაცვლა /o/ ხმოვანმა და დაიკარგა ნახევართანხმოვანი. მოძრავი დიფტონგები დერივატ სიტყვებში მახვილის სხვა მარცვალზე გადაადგილებისას კარგავენ ნახევართანხმოვნებს უ /w/—ს და i /j/—ს და, მაშასადამე, დადიან ი და e ხმოვნებზე:

uò	o	iè	e
<i>muovere</i>	<i>movimento</i>	<i>piede</i>	<i>pedestre</i>
<i>suono</i>	<i>sonoro</i>	<i>pietra</i>	<i>petroso</i>
<i>scuola</i>	<i>scolaro</i>	<i>Siena</i>	<i>senese</i>
<i>muore</i>	<i>morivano</i>	<i>siede</i>	<i>sedevano</i>

თუმცა აღსანიშნავია, რომ უკვე დიდი ხანია იტალიურში აღინიშნება ტენდენცია, რომლის თანახმადაც მოძრავი დიფტონგი სულ ნაკლებ მოძრავი ხდება და სი /uò/ და i /iè/ შენარჩუნებულია იქ, სადაც არ უნდა იყოს, აი ზოგიერთი მაგალითი:

•რთულ, შედგენილ სიტყვებში (კომპოზიტებში) და ზმნიზედებში სუფიქსით -mente: *buongiorno*, *buongustaio*, *nuovamente*.

•ზმნებში: *nuotare*, *vuotare* - რომელთაც მთელ უღლების სისტემაში შენარჩუნებული აქვთ დიფტონგი ას რათა თავიდან ავიცილოთ რაიმე აღრევა *notare* და *votare* ზმნების ფორმებთან; სხვა ზმნებში ფიქსირდება დიფტონგიანი და უდიფტონგო ფორმების მონაცვლეობა: *suona* / *soniamo* (ან *suoniamo*), *muove* / *moveva* (ან *muoveva*);

•ზოგიერთი, ძალიან გავრცელებული სიტყვების გავლენაშ გამოიწვია დიფორმონგის შენარჩუნება ნაწარმოებ სიტყვებშიც (დერივატებშიც): fiero – *fierezza*, pieno – *pienezza*, piede – *piedistallo*;

•ისეთ ზმნებშიც, როგორიცაა *chiedere*, *lievitare* (ამოსვლა, ამოფუება), *mitere* (თიბვა), *risiedere* (ცხოვრება; განლაგება) ტრადიციულად ყველა ფორმაში დიფორმონგი გამოიყენება (*chiedeva*, *mietava*, *risiedeva* . . .).

12. პროსოდიული მახასიათებლები

მარცვალი

როდესაც ჩვენ განვიხილეთ იტალიური ენის ხმოვნებისა და თანხმოვნების სისტემა, შევეხეთ მხოლოდ ცალკეულ ბერათა არტიკულაციას, განვიხილეთ ბერაბის კლასიფიკაცია ამ თვლასაზრისით. ახლა შევეხებით სამეტყველო ბერათა ისეთ თვისებებს, რომელიც მნიშვნელოვანია მეტყველების ნაკადში გამოყოფილი ბერითი სეგმენტების დასახასიათებლად. ისინი ქმნიან ბერის პროსოდიულ ანუ ზესეგმენტურ ნიშნებს (ისინი თითქოს ზემოდან ედება ბერას), მაგალითად, ხანგრძლივობა, მახვილი, რიტმი, ინტონაცია;

მარცვალი ბერაზე დიდი და სიტყვაზე პატარა ერთეულია. მარცვლის არსი მოსაუბრის ცნობიერებაში ინტუიტიურად არსებობს, მას შეუძლია სიტყვა წარმოთქვას მარცვლებით: *lin-gui-sti-ca*. არც ისე ადვილია მეცნიერული განმარტება მივცეთ მარცვალს, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც მარტივი სტრუქტურა, რომელიც მოცემულ ენაში აწესრიგებს ფონემათა დაჯგუფებას: მაგალითად, V, CV, VC, CVC (V - ალნიშნავს ხმოვანს და C - თანხმოვანს). არტიკულაციური თვალსაზრისით ყოველ მარცვალს ახასიათებს ჰაერის წნევის გაზრდა (ამ მოვლენის გაზომვა მხოლოდ სპეციალური ინსტრუმენტით არის შესაძლებელი). აკუსტიკური თვალსაზრისით ბერათა თანმიმდევრობაში ზოგიერთი უფრო მუღლერია და სწორედ უღრადობის მწვერვალი წარმოადგენს მარცვლის ცენტრს. იტალიურ ენაში, სიტყვის მარცვალში აუცილებელია ხმოვანი ბერის არსებობა. მარცვალი, რომელიც ბოლოვდება ხმოვნით არის ღია (თავისუფალი) მარცვალი (*aperto, libero*): *te-le-fo-no*; მარცვალი, რომელიც ბოლოვდება თანხმოვნით, არის დახურული (*chiuso*): *im-por-tan-za*. სიტყვას, რომელიც ერთი მარცვლისაგან შედგება ეწოდება ერთმარცვლიანი - მონოსილაბური, ხოლო სიტყვას, რომელიც ბევრი მარცვლისაგან შედგება - მრავალმარცვლიანი, პოლისილაბური.

იმის მიხედვით, თუ რამდენი მარცვალია სიტყვაში, განვასხვავებთ:

მონოსილაბურ – ერთმარცვლიან სიტყვებს: è, di;

ბისილაბურ – ორმარცვლიან სიტყვებს: ca-ne, gat-to;

ტრისილაბურ – სამმარცვლიან სიტყვებს: I-ta-lia;

კუადრისილაბურ – ოთხმარცვლიან სიტყვებს: po-mo-do-ro.

ხუთმარცვლიანი და უფრო მეტი მარცვლისგან შემდგარი სიტყვების აღსანიშნავად სპეციალური ტერმინები არ არსებობს. სიტყვების მარცვლებად დანაწევრებას აქვს თავისი წესები:

•თავკიდური ხმოვანი, რომელსაც მოსდევს მარტივი თანხმოვანი, ქმნის დამოუკიდებელ მარცვალს: o-nore;

•მარტივი თანხმოვანი და მისი მომდევნო ხმოვანი ქმნიან მარცვალს: pa-ro-la;

•არ იყოფა:

•დიფონები: fiam-ma, pie-de;

•დიგრამა და ტრიგრამა: ra-gio-ne (da ara ra-gi-one), la-scia-re;

•თანხმოვანთა ჯგუფი, რომლითაც იტალიურში, შესაძლოა, დაიწყოს სიტყვა ანუ იდგეს თავკიდურ პოზიციაში:

s+თანხმოვანი: na-sco, mo-stra;

b, c, f, g, p, t, v + l ან r: ru-blo, sa-cro, A-fri-ca, si-gla, re-pli-ca, tea-tro, do-vrei

•იყოფა:

•ჰიატუსის შემთხვევა: le-one, bosni-aco

•„ორმაგი“ თანხმოვნები: val-le, sas-so, ac-qua;

თანხმოვანთა ჯგუფები, რომელთაც ვერ ვნახავთ სიტყვის თავკიდურ პოზიციაში: cal-do, por-ta;

12.1. მახვილი

ენის აღწერისას არ არის საკმარისი ფონემების აღწერა, იმის დადგენაც აუცილებელია, თუ როგორ ეწყობიან ეს ფონემები ერთმანეთს, რა კომბინაციებს ქმნიან. ფონოტაქტიკა იკვლევეს იმ წესებს, რომელიც მეტყველების ნაკადში ბგერების კომბინაციებს - ფონემათა კომპლექსებს (თანხმოვანთკომპლექსებს და ხმოვანთკომპლექსებს), განსაკუთრებით კი მარცვლის სტრუქტურასა და შემადგენლობას შეისწავლის.

სეგმენტური (ანუ შემადგენლობის) ანალიზი ვერ წარმოაჩენს მთლიანად მეტყველების ნაკადის ასპექტებს. მაგალითად, თუ ორ იტალიურ სიტყვას: *ancora* და *ancóra* ფონემებად დავშელით, ორივე შემთხვევაში მივიღებთ შემდეგ თანმიმდევრობას: /a/+/n/+/k/+/o/+/r/+/a/. ამგვარი წარმოდგენა სულაც არ აჩვენებს, რომ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა სიტყვასთან, ვინაიდან საქმე გვაქვს მახვილთან ორ სხვადასხვა მარცვალზე. ზესეგმენტურ ელემენტებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მახვილი (accento) - რომელიც წარმოდგენილია სიტყვაში და ინტონაცია (intonazione), რომელიც ეხება მთელ წინადადებას. მახვილი მიჩნეულია ზეპრასეგმენტურ (ერთდროულ) ერთეულად (tratto soprasegmentale), თითქოს ის „ზემოდან ედება“ ფონურ სეგმენტს. სინაძვილეში ფონურ ნაკადში შეუძლებელია წარმოითქვას ბგერა თავისი მახვილისაგან დამოუკიდებლად, უფრო ზოგადად კი, თავისი პროსოდიული მახასიათებლებისაგან დამოუკიდებლად: მახვილი იქმნება იმ მომენტში, როდესაც წარმოიქმნება ხმოვანი, რომელზეც მოდის მახვილი. „ზედდების“ გრაფიკული გამოხატვა მომდინარეობს ლათინური დამწერლობიდან, სადაც ფონემებზე ზემოდან ვაწერთ მახვილსა და სხვა ნიშნებს. ლათინურმი იყო ე.წ. მუსიკალური მახვილი (ბგერის სიმაღლით გამორჩეულობა), იტალიურში კი არის დინამიკური მახვილი (ბგერის სიძლიერით გამორჩეულობა); დინამიკური მახვილის მქონე ბგერები წარმოიქმნება ფილტვებიდან ჰაერნაკადის უფრო ძლიერი ამოსუნთქვით და სამეტყველო ორგანოთა მეტი დაძაბვით, ვიდრე უმახვილო ბგერების

ნარმოქმნისას.

ზოგიერთ ენაში მახვილი არის მოძრავი, მაგალითად რომანულ ენებში, მათ შორის იტალიურშიც (თუმცა, ფრანგულში არა), და მას აქვს სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია, მაგალითად: *ancora* – *ancóra*, *cápito*-*capito*-*capitò*;

მახვილის ტიპები იტალიურ ენაში:

- მახვილი ბოლო მარცვალზეა: *virtù* (*grafikuli maxvili*)
- მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა: *cane* (მახვილი, ჩვეულებრივ, არ აღინიშნება)
- მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზეა: *fègato* (მახვილი, ჩვეულებრივ, არ აღინიშნება)
- მახვილი ბოლოდან მეოთხე მარცვალზეა: *lítigano* (მახვილი, ჩვეულებრივ, არ აღინიშნება)

12.1.1. ბლაგვი (grave) და მკვეთრი (acuto) მახვილი

ღია ხმოვანი აღინიშნება ბლაგვი მახვილით (`), ხოლო დახურული ხმოვანი – მკვეთრი მახვილით ('), დღეს ეს ტერმინები იხმარება მხოლოდ გრაფიკული მახვილის აღსანიშნავად და მომდინარეობს ბერძნულიდან, სადაც (როგორც ლათინურში) იყო ე.წ. მუსიკალური მახვილი; რომელი მახვილი როდის იხმარება? სასურველად მიიჩნევა შემდეგი სქემა:

à, ì, ù, è, é, ó, ô

მაშასადამე:

•სამ შემთხვევაში – i, u და a ხმოვანს – ბლაგვი (grave) მახვილი;

•e და o ხმოვნებს კი, იმის მიხედვით, ისინი დახურულია თუ ღია, მოუდით მკვეთრი ან ბლაგვი მახვილი, რასაც იტალიური ლექსიკონები მიუთითებენ ხოლმე; რაც შეეხება -o ხმოვანს, სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში ის არის ყოველთვის ღია, სიტყვის შიგნით კი ღია ან დახურული.

არსებობს მახვილის ხმარების სხვა სისტემაც:

•მკვეთრი მახვილი (') ყველა დახურულ ხმოვანზე: í, é, ú, ó

•ბლაგვი მახვილი (`) ყველა ღია ხმოვანზე: à, è, ô

აღსანიშნავია, რომ არსებობს სიტყვები, რომელთა მნიშვნელობას განასხვავებს სწორედ e და o ღია და დახურული ხმოვნები:

a c - céutta -	ნაჯახი	accètta -	accettare ზმნის მესამე პირი
p é s c a -	თევზჭერა	pèsca	ატამი
vénti	ოცი	vènti -	ქარები

12.1.2. პროსოდიული და გრაფიკული მახვილი

პროსოდიული მახვილი აქვს ყველა სიტყვას, რაც იმას ნიშნავს, რომ სიტყვაში სხვა მარცვლებთან შედარებით ერთი მარცვალი გამოიყოფა თავისი წარმოთქმის „სიძლიერით“ და „სიმკვეთრით“, მაგრამ ყველა სიტყვას არ გააჩნია გრაფიკული მახვილი. მაგალითად, სიტყვაში *“parlo” /par/* მარცვალი არის უფრო „ძლიერი“ ვიდრე /lə/, ხოლო სიტყვაში *parlò* მარცვალი /l ə/ უფრო ძლიერია. პირველ შემთხვევაში /par/ არის მახვილიანი მარცვალი (*sillaba tonica*) ხოლო /lə/ – უმახვილო (*sillaba atona*). იტალიური ორთოგრაფიის წესების თანახმად, მახვილის ხმარება (ე.ი. გრაფიკული მახვილი) აუცილებელია მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში:

• ე.წ. მოკვეცილ (*tronche*) მრავალმარცვლიან სიტყვებში (ანუ ისეთ სიტყვებში, რომლებშიც მახვილი ეცემა ბოლო ხმოვანზე): *verità, perché, così, vedrò, virtù;* იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ პოლისილაბური სიტყვების შემადგენლობაში შესულია ისეთი სიტყვებიც, რომლებიც დამოუკიდებლად მახვილით არ იწერება: *trentatré (tre), gialloblù (blu);*

• ზოგიერთ მონოსილაბურ სიტყვაში, სადაც მათი ხმარება აუცილებელია, რათა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ომოგრაფები (სიტყვები, რომლებსაც ერთნაირი დამწერლობა აქვთ, მაგრამ მნიშვნელობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან):

dà	“dare” ზმნის პირველი პირი, თხრ. კილო	da	ნინდებული	
dì	დღე	di	ნინდებული	
ché	perché	che	ყველა სხვა შემთხვევაში	
è	ზმნა “essere”, მესამე პირი, თხრ. კილო	e	კავშირი “და”	
là	ზმნიზედა “იქ”	la	არტიკლი ან ნაცვალ- სახელი	
lì	ზმნიზედა “იქ”	li	ნაცვალ- სახელი	Li vedo
nè	კავშირი “არც”	ne	ნაცვალ- სახელი ან ზმნიზედა	Ne vuoi? Te ne vai
sè	მახვილიანი ნაცვალსახელი (tra sè e sè)	se	უმახვილო ნაცვალ- სახელი ან კავშირი	Non se la sente Se vedesse!
sì	ზმნიზედა	si	ნაცვალ- სახელი	
tè	სასმელი “ჩაი”	te	ნაცვალ- სახელი	

დიფთონგის შემცველ ზოგიერთ მონოსილაბურ სიტყვაში :
ciò, può, già, giú, piú.

12.2. რიტმი და ინტონაცია

რიტმი მახვილიანი და უმახვილო მარცვლების თანმიმდევრობაა. ყოველ ენას თავისი განსაკუთრებული რიტმი აქვს. რაც შეეხება მახვილს, უნდა აღინიშნოს, რომ სამი ან მეტი მარცვლისაგან შემდგარ სიტყვაში ძირითადი მახვილის გარდა, შესაძლოა, დაფიქსირდეს მეორადი მნშვნელობის მქონე სიძლიერის მწვერვალი — მახვილი. მაგალითად, სიტყვაში *capostazione* გარდა მახვილის მქონე მარცვლისა /'tsjo:/, წარმოდგენილია ასევე შედარებით სუსტი მახვილის მქონე მარცვალი /ka:/, რომელიც გამოიკვეთება სხვა მარცვლებთან შედარებით. ამ შემთხვევაში საუბარია თანამახვილზე, მეორეხარისხოვან (მეორეულ) მახვილზე. საერთაშორისო ფონეტიკური ტრანსკრიფით ამ ტიპის მახვილი აღინიშნება აღნიშნული მარცვლის პირველი ფონის წინ მარცხნივ და ქვემოთ: /'kapostat'sjo:ne/; ის გარკვეული მანძილით დაშორებული უნდა იყოს მთავარ მახვილს. სწორედ მახვილიანი, უმახვილო და მეორეხარისხოვანი მახვილის მქონე მარცვლების თანმიმდევრობაა გადამწყვეტი ენის რიტმისათვის.

რაც შეეხება ინტონაციას, ის განასხვავებს სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ფრაზებს. ჩვეულებრივ, თხრობით წინადადებაში არსებობს საერთო ტენდენცია — ფრაზის ბოლოსკენ ტონის სიმაღლე ეშვება, დაბლა იწევს (*declinazione naturale*). ევროპული ენების უმრავლესობაში ხმის სიმაღლის ცვლა ინტონაციას გამოხატავს. მაგალითად, „თხრობითი წინადადებასა“ და „კითხვით წინადადებას“ სწორედ სხვადასხვა მელოდიური მახასიათებელი აქვს (წინადადების შიგნით ტონის სიმაღლის ცვლილება). მაგალითად, შევადაროთ ერთმანეთს ორი წინადადება:

Giovanni mangia la mela.
Giovanni mangia la mela?

თხრობით წინადადებაში ტონის სიმაღლე ბოლოსკენ ეშვება, კითხვით წინადადებაში კი პირიქით, ბოლოსკენ ძლიერ მაღლ-დება.

არსებობს აგრეთვე პარალინგვისტური ელემენტებიც (ხმის სიმძლავრე, მეტყველების სისწრაფე, ყოყმანი, პაუზა, სიჩუმე); ისინი სხვადასხვაგვარად და სხვადასხვა გარემოებებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს წინადადებას.

ყოველ წინადადებას აქვს თავისი ე.წ. ინტონაციური კონტური. ტონის გარკვეული სიმაღლე ვრცელდება გამონათქვამის რაღაც მონაკვეთზე, შემდეგ იგი აინევს, დაინევს, ან შეიძლება გაგრძელდეს იმავე დონეზე. მეტყველების ჩაწერისას ხდება ტონის სიმაღლის აღნიშვნა რამდენიმე წერტილში. ერთ-ერთი ასეთი წერტილია ის მარცვალი, რომელიც მთავარ დინამიკურ მახვილს ატარებს, ის ინტონაციური კონტურის მწვერვალს ქმნის და, შესაბამისად, უფრო მაღალი ტონით წარმოითქმის.

როგორც ითქვა, კითხვითი და თხრობითი წინადადებები შეიძლება განვასხვავოთ ერთმანეთისაგან სწორედ გარკვეული რიტმულ-მელოდიური აგებულებით. პირველ შემთხვევაში ე.წ. მელოდიური (ინტონაციური) კონტური დაღმავალია. ახლა უფრო დეტალურად განვიხილოთ კითხვის შემცველი გამოთქმები. მათში ინტონაციური კონტური დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ტიპის შეკითხვაა დასმული:

ა) ე.წ. კი/არა შეკითხვა (*demande si/no*), როდესაც, უკვე არ-სებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, მოსაუბრისაგან მოითხოვენ პასუხს „კი“ ან „არა“;

ბ) “k” შეკითხვები (*demande “k”* - ვინაიდან კითხვითი სიტყვების უმრავლესობა სწორედ ამ ჟღერადობის მქონე თანხმოვნით იწყება): *che?, che cosa?, quando?, quanto?, dove?, perché?*; ამ შემთხვევაში არსებობს ახალი ინფორმაციის მოლოდინი.

პირველ შემთხვევაში ინტონაცია, როგორც წესი, აღმავალია. მეორე შემთხვევაში კი — დაღმავალი. (იხ. სავარჯიშო 21 a) c).

განვიხილოთ ინტონაციური კონტურის კიდევ რამდენიმე მაგალითი:

შეყოვნების ინტონაცია (“l’intonazione sospensiva”), რომელიც ორთოგრაფიულად გამოიხატება მრავალწერტილით: „...“: მაგ-ალითად, ჩამონათვალის არსებობის შემთხვევაში:

Prima di andare al lavoro io prendo la borsa, l’ombrelllo, il biglietto di autobus... (იხ. სავარჯიშო 21 ბ) 14) ის უპირისპირდება ე.წ. „დასრულებულ ჩამონათვალს“:

Prima di andare al lavoro io prendo la borsa, l’ombrelllo, il biglietto di autobus. (იხ. სავარჯიშო 21 ბ) 15). შეყოვნება უფრო მკვეთრადაა გამოხატული შემდეგ შემთხვევაში: Prima di andare al lavoro io prendo: la borsa, l’ombrelllo, il biglietto di autobus. (იხ. სავარჯიშო 21 ბ) 16)

რა თქმა უნდა, არსებობს სხვა ინტონაციური კონტურის მქონე გამოთქმებიც, მაგრამ ამჯერად მათ აღარ განვიხილავთ.

13. ფონოსინტაქსური მოვლენები: ელიზია და კვეცა

მეტყველებაში ხდება ერთმანეთის მიყოლებით განლაგებული სიტყვათა კონტაქტი, გადაბმა. ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვაგვარად წარმოითქმის სხვადასხვა პოზიციაში: ცალკე, დამოუკიდებლად და სხვა სიტყვასთან ერთად: *in [in], casa ['kasa], ['prosa]; in prosa - [im'prosa], a casa – [a'kkasa]*. სიტყვაში *[im'prosa]* დენტალური /n/-ს გადასვლა ბილაბიალურ /m/ - ში განპირობებულია იმით, რომ /n/-ს მოსდევს ბილაბიალური /p/: აქ ადგილი აქვს რეგრესიულ ასიმილაციას.

13.1. ელიზია

ელიზია (elisione) - ის მოვლენაა, როდესაც იკარგება ფინალური უმახვილო ხმოვანი ხმოვნით დაწყებული სიტყვის წინ: **Io oste* ⇨ *l'oste, una amica* ⇨ *un'amica, di inverno* ⇨ *d'inverno*. ეს მოვლენა ძალიან ხშირია მეტყველებაში, წერის დროს ის ყოველთვის აღინიშნება აპოსტროფით და გვხვდება შემდეგ კონკრეტულ შემთხვევებში:

• არტიკლებთან და არტიკლისა და წინდებულის შერწყმულ ფორმებთან: *l'uovo, dell'angolo, un'erba;*

• ჩვენებით ზედსართავებთან მხოლობით რიცხვში: *questo, questa, quello, quella: quest'uomo, quell'attore, რაც შეეხება მდედრობითი სქესის ფორმებს, შესაძლებელია დადასტურდეს ორივე ფორმა: ელიზით და ელიზის გარეშე: quest'attrice და questa attrice; მრავლობითში კი მას ადგილი არ აქვს: questi individui და ara *quest'individui.*

- სიტყვასთან *bello*: bell'uomo
 - სიტყვებთან *santo, santa*: sant'Antonio, sant'Anna; ci—სთან ზმნა „essere“ —ს წინ: c'è (და არა *ci è), c'erano და სხვ.;
 - მყარ შესიტყვებებში: a quattr'occhi, l'altr'anno, tutt'altro, d'accordo, sott'occhio, senz'altro, nient'altro, mezz'ora და სხვ.
 - სხვა შემთხვევებში ელიზია ფაკულტატურია, უფრო მეტ-იც, თანამედროვე იტალიურში შეინიშნება მისი კლება. ბოლო ხმოვნის დაკარგვა განსაკუთრებით ფიქსირდება მონოსილა-ბურ სიტყვებში, შესაძლებელია ორი ვარიანტი: t'amo/ ti amo; m'ha detto/mi ha detto.
- ყურადღება:
- ci-ს ელიზია არასოდეს ხდება იმ სიტყვების წინ, რომლებიც იწყება a,o,u ხმოვნებზე (ho, hai, ha, hanno - ფორმების ჩათვლით): ci ha detto (და არა *c'ha detto);
 - da -ს ელიზიას ადგილი აქვს მხოლოდ შემდეგ გამოთქმებ-ში: d'ora e poi, d'ora in avanti, d'altronde, d'altra parte; სხვა შემთხ-ვებში მისმა გამოყენებამ კი შეიძლება გაუგებრობა გამოი-წვიოს (მაგალითად, რომ დავწეროთ d'animali - გაჩნდება ეჭვი იმის შესახებ, თუ რა იგულისხმება: di animali თუ da animali?)
 - არ ხდება პირის ნაცვალსახელების — li, le -ს ელიზია: li guarda, le ascolta.
 - არ ხდება იმ არტიკულებისა და წინდებულიანი არტიკულების ელიზია, რომლებიც i ნახევართანხმოვნით დაწყებული სი-ტყვების წინ დგას: lo iodio.

13.2. კვეცა (troncamento)

კვეცა (troncamento) ანუ აპოკოპა (apocope) ეს არის სიტყვის ბოლოს ფონური ელემენტის მოკვეცა, მაგალითად: *uno amico → un amico. კვეცაა ზოგადად რომელიმე ელემენტის (ხმოვნის ან მარცვლის) მოკვეცა თანხმოვნის წინაც: *buono giorno → buon giorno, filo di ferro → fil di ferro, frate Cristoforo → fra Cristoforo. როგორც ვხედავთ, როგორც ელიზია, ისე კვეცა გრაფიკულად აისახება, მაგრამ ელიზის დროს იგი გამოიხატება აპოსტროფით, კვეცის დროს კი აპოსტროფი იხმარება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- ბრძანებითი კილოს ფორმებში (მეორე პირი): di' – თქვი! (dire), da' – მიეცი! (dare), fa' – გააკეთე! (fare), sta' – იყავი! (stare), va' – წადი! (vai).
- un po' (= poco)

ყველა სხვა შემთხვევაში კვეცა (ელიზისაგან განსხვავებით) არასოდეს აღინიშნება აპოსტროფით. ჩვეულებრივ, რაიმე გართულებას არ ვაწყდებით თანხმოვნით დაწყებული სიტყვების წინ (buon cavaliere), მაგრამ ორთოგრაფიული შეცდომები ხშირია მაშინ, როდესაც სიტყვა იწყება ხმოვნით და შეიძლება დავწეროთ *buon' uomo ნაცვლად სწორი ფორმისა ხსიო սომი.

13.2.1. ხმოვნის კვეცა

ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცა შეიძლება იყოს სავალდებულო (*buon giorno*) ან ფაკულტატიური (*andar via / andare via, fil di ferro / filo di ferro, se ne dicon tante / se ne dicono tante*). აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- არასოდეს იკვეცება წინადადების ბოლო სიტყვა;
- არასოდეს იკვეცება ბოლოკიდური -e და -i ხმოვნები, როდესაც ისინი მიუთითებენ მრავლობით რიცხვს: *le buone madri, i buoni padri* და არა **le buon madri, *i buon padri*;
- ბოლოკიდური ხმოვანი -a იკვეცება მხოლოდ ერთ სიტყვაში – „*suora*”, როდესაც მას მოსდევს საკუთარი სახელი: *suor Paola*;
- კვეცა ხდება იმ სიტყვებში, რომელშიც მოკვეცილ ხმოვანს წინ უსწრებს ერთ-ერთი შემდეგი თანხმოვანი: m, n, r, l: *voler bene, ben detto, andiam via;*
- კვეცა სავალდებულოა იმ ინფინიტიურ ფორმებში, რომელთაც მოსდევთ უმახვილო ნაცვალსახელი: *amare+lo/amarlo; dire+ci→dirsi;*
- კვეცა სავალდებულოა ტიტულების ან პროფესიის მნიშვნელობით გამოყენებულ არსებით სახელებში, რომელთაც მოსდევთ საკუთარი სახელები: დამოუკიდებლად *il signore, მაგრამ il signor Bianchi, il dottore, მაგრამ il dottor Pasetti, l'ingegnere, მაგრამ l'ingegner Conti, il professore, მაგრამ il professor Fontana.*
- ყურადღება: *qual è* და არა **qual'*; *qual* არის დამოუკიდებელი ფორმა და ასევე იხმარება თანხმოვნის წინ: *Qual buon vento ti porta?*

13.2.2. მარცვლის კვეცა

მარცვლის მოკვეცაც შეიძლება იყოს სავალდებულო ან ფაკულტატიური.

სავალდებულოა:

• სიტყვებში *bello, quello, santo* იმ სიტყვების წინ, რომლებიც მოითხოვენ არტიკულს *il, un*; მაგალითად: *bel giorno, quel ragazzo, san Giorgio*; იმ შემთხვევაში კი, თუ გვაქვს სიტყვები, რომლებიც მოითხოვენ არტიკულებს *lo, uno* - გვექნება შემდეგი ფორმები: *bello scherzo, quell'operaio, santo Stefano*.

ფაკულტატიურია:

- ზედსართავში *grande: un grande giorno / un gran giorno;*
- ნაცვალსახელში *un poco: un poco di pazienza / un po' di pazienza;*
- მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ზმნებში, რომელთაც აქვთ სუფიქსი *-nno: fanno / fan, danno / dan;*
- როდესაც სიტყვას „fratte“ მოსდევს საკუთარი სახელი: *fra Galdino.*

13. 3. ფონოსინტაქსური გაორმაგება

ფონოსინტაქსური გაორმაგება (raddoppiamento, rafforzamento fonosintattico) გულისხმობს თანხმოვნის გაორმაგებას ორი სიტყვის შესაყარზე (იხ. სავარჯიშო 22). მაგალითად, ნებისმიერი თანხმოვნით დაწყებული იტალიური სიტყვა ე კავშირის ნინ გაორმაგებული თანხმოვნით წარმოითქმის, მაგალითად: *io e te* ['tte]. გრაფიკულად ეს მოვლენა გამოიხატება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ორი სიტყვის ერთ სიტყვად გაერთიანება, მაგალითად: *appena, giammai, cosiddetto, soprattutto, davvero, neppure, sebbene, ovvero, ossia*.

თანხმოვნის გაორმაგება ახასიათებს ტოსკანურს, ცენტრალურ და სამხრეთ იტალიის კილოებს; მას ადგილი აქვს შემდეგ შემთხვევებში:

ყველა მრავალმარცვლიანი სიტყვის შემდეგ, რომელსაც გრაფიკული ან ფონეტიკური მახვილი აქვს ბოლო ხმოვანზე: *perché, però, andò: perché mai [per'ke'mmai], andò via [ando'vvia]*;

ყველა ერთმარცვლიანი სიტყვის შემდეგ, რომელსაც გააჩნია გრაფიკული მახვილი: *dà, là, già, sé, più: [pju'ssu]*;

“ძლიერი” ერთმარცვლიანების შემდეგ: *a, da, su, tra, fra; ho, ha, do, fa, fu, va, sto, sta; he, chi, qui, qua, se, ma, e, o; tu, gru, blu, tre; te, me: da noi [da'nnoi], sta bene [sta'bene], qua sopra [kwa'ssopra]*

13.4. ენკლიტიკა და პროკლიტიკა

ენკლიზი (enclisi) წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ერთი, ან ორმარცვლიანი სიტყვა კარგავს თავის მახვილს და მიეკედლება წინა მახვილიან სიტყვას, მაგალითად ნაცვალსახელები: *Io, la, li, le* შემდეგ სიტყვებში: *leggilo, leggila, leggili, leggile*. იტალიურში ენკლიტიკურია უმახვილო ნაცვალსახელები: *mi, ti, si, ci, vi, lo, la, ne* და სხვ., მაგალითად ისინი უერთდებიან ზმნიზედას: *eccolo, eccomi, ინფინიტივს: parlargli, parlarle, gerundivs parlandone.*

თუ ენობრივი ერთეული მახვილის თვალსაზრისით მიეკედლება სიტყვას, რომელიც მას მოსდევს, ადგილი აქვს პროკლიტიკას (არტიკლები, წინდებულები, ზოგიერთი ნაცვალსახელები და ზმნა): *me lo disse, ce lo manda*.

პრაქტიკული სავარჯიშოები

1. ხშული თანხმოვნები: [p, b; t, d; k, g]

მოისმინე და გაიმეორე:

1. [p]: pane – poco – parola – capo – corpo – pico
2. [b]: bambino – bene – balena – busta – bravo – buono
3. [t]: tono – tifo – tavolo – tanto – telefono – tema
4. [d]: dono – quaderno – denaro – comandare – caldo – durare
5. [c]: cane – costo – palco – banco – coltello – panco
6. [g]: gatto – gufo – ago – pagato – gas – uguale

2. ფრიკატივები: [f, v; s, z; ʃ (ან ʃ:)]

მოისმინე და გაიმეორე:

1. [f]: fare – fontana – fiore – formica – fedele – finta
2. [v]: vaso – vino – vero – virgola – cavo – via
3. [s]: sale – sole – cascare – costare – costo – santo
4. [z]: slavo – sventura – casa – ròsa – viso – rasoio
5. [ʃ] an [ʃ:] : sciocco – sciagura – sciogliere – coscia – scialuppa

3. აფრიკატები: [ts, dz, ან t:s, d:z; tʃ, dʒ]

მოისმინე და გაიმეორე:

1. [ts] an [t:s]: zucchero – rozzo – pazzo – calza – pezzo
2. [dz] an [d:z]: azzuro – zero – romanzo – azienda – zanzara
3. [tʃ]: cena – cielo – bacio – cibo – camicia
4. [dʒ]: giovane – giorno – gente – giovedí

4. ნაზალური თანხმოვნები: [m, nn; n; p ან p: ; ɲ]

მოისმინე და გაიმეორე:

1. [m]: mela – mio – madre – mano – gamba
2. [ŋ]: inferno – inverno – gonfiare – canfora – tonfo
3. [n]: nano – nome – numero – canto – tanto
4. [p] an [p:]: sogno – cagna – stagno – ragno – signore
5. [ɲ]: fango – conca –anca – tango – panca

5. ლატერალები: [l; λ]

მოისმინე და გაიმეორე:

1. [l]: lotta – libro – alto – alzare – palo
2. [λ] an [λ:]: gli – bottiglia – aglio – tovaglia - maglione

6. ვიბრანტი [r]

მოისმინე და გაიმეორე:

1. [r]: rana – treno – arte – rosso – nero – rumore – arancione – gratto – rotto - tratto

**გაორმავებული და ძლიერი თანხმოვნები
consonanti geminate e rafforzate (geminate intrinseche)**

7. ხშულები: [p: , b: , t: , d: , k: , g:]

მოისმინე და გაიმეორე:

1. [p:]: apprezzare – cappotto – appendere – approvare – appagare
2. [b:]: babbo – abbandonato – abbracciare – abbellire – obbedire
3. [t:]: fatto – matto – latte – rotto – tatto
4. [d:]: addobbare – addio – addentare – addormentare- addosso
5. [k:]: scirocco – tacco – accumulare – tacchino – occupare
6. [g:]: aggancio – aggredire – aggravare – aggressivo - agghiacciante

7.1. მოისმინე და გაიმეორე:

1. capi / cappi; libra / libbra; fato / fatto; cade / cadde; roca / rocca; fuga / fugga;

8. ფრიკატივები [f: , v: , s:]

8.1. მოისმინე და გაიმეორე:

1. [f:]: caffè – affamato – affacendato – affabile – affaticato
2. [v:]: avvenimento – avvelenato – avvenire – avviso – ovvio
3. [s:]: passione – posso – cassa – rosso – sasso

8.2.. მოისმინე და გაიმეორე:

1. risa / rissa; tufo / tuffo; roso / rosso; bevi / bevvi; casa / cassa;

აფრიკატები [t:ʃ, d:ʒ]

9.1. მოისმინე და გაიმეორე:

1. [t:ʃ]: abbracciare – roccia – traccia – rintracciare – treccia
2. [d:ʒ]: oggi – oggetto – maggio – maggioranza - aggiornato

9.2. მოისმინე და გაიმეორე:

1. face / facce; cacao / caccio; agio / aggio;

10. ნაზალები [m:, n:]

მოისმინე და გაიმეორე:

1. [m:]: mamma – commessa – ammalare – ammazzare – amministrare
2. [n:]: nonno – danno – anno – vanno - hanno

10.2. მოისმინე და გაიმეორე:

1. fumo / fummo; soma / somma;
2. cane / canne; nono / nonno; vano / vanno; ano / hanno;

11. ლატერალი [l:]

11.1. მოისმინე და გაიმეორე:

2. palla – gallo – vallata – galleggiare - collo

11.2. მოისმინე და გაიმეორე:

1. pala / palla; gala / galla; mole / molle;

12. ვიბრანტი [r:]

12.1. მოისმინე და გაიმეორე:

1. correre – marrone – correggere – guerra – terra

12.2. მოისმინე და გაიმეორე:

1. bara / barra; poro / porro; caro / carro; faro / farro;

13. გაორმაგებული თანხმოვნები (geminate intrinsiche) [ʃ: ; t:s , d:z: ; p; λ]

მოისმინე და გაიმეორე:

1. [ʃ:]: cresciuto – asciutto – prosciutto – pesce – lasciare
2. [t:s]: pizza – pozzo – tozzo – tazza – cozzo
3. [d:z]: mezzo – azzurro – azzanare – azzardare – organizzare
4. [p:]: sogno – ignorante – ignoto – ogni – agnello
5. [λ]: egli – cogliere – bottiglia – vermicchio - maniglia

ხმოვნები

14. ხმოვანი E [e] / [ɛ]

14.1. მოისმინე და წაიკითხე

1. [e]: sere, e, entrare, mele, nel, isole, crescere, estate, debole, rete, denaro, nere, pelo, finite, crescere, guide, pera, rude, sera;

2. [ɛ]: è, idea, meglio, treno, cioè, testa, gelo, freno, prego, ieri, leggo, festa, metro prendi, bella;

14.2. მოუსმინე განსხვავებებს და შეეცადე გაიმეორო:

1. accetta (ნაჯახი) / accètta (accettare)

2. vénti (ოცი) / vènti (pl. di vento)

3. pésca (pescare) / pèsca (ატამი)

15. ხმოვანი O [o] [ɔ]

15.1. მოისმინე და გაიმეორე:

[o]: molto, italiano, onore, pozzanghera, isola, roto, parto, uscio, monte, alto, finisco, arco, altro;

[ɔ]: posso, Europa, povero, porta, ricotta, nord, porta, oro, forte, cotto, corda, orto, ruota, orzo, trota, nobile, nord;

15.2. მოუსმინე განსხვავებებს და შეეცადე გაიმეორო:

bòtte (ლვინის კასრი) / bótte (დარტყმა, ცემა)

დიფთონგები, ტრიფთონგები და ჰიატუსი

16. აღმავალი დიფთონგები: [je, jɛ, ja, jɔ , jo, ju; wi, we, wɛ, wa, wɔ , wo]

მოისმინე და გაიმეორე:

1. [je]: schietto – fischiutto – riempio
2. [jɛ]: insieme – ieri - piede – pieno-mieto – chiedere
3. [ja]: siamo – andiamo – piato – fato – miagolare – piano - piazza
4. [jɔ]: inchiostro – idiota - chiocciola – chiodo – chiosco
5. [jo]: noioso – fiore – secchio - iniezione – azione – dizione
6. [ju]: fiuto – aiuto – aiutare – chiudo
7. [wi]: qui – acquisto – conquisto
8. [we]: questo – quei – quello
9. [wɛ]: guercio – Guerra
10. [wa]: sciacquare – qua – scialacquare – guasto – annacquare
11. [wɔ]: uomo – buono - tuono – fuoco – fuori — cuore
12. [wo]: fruttuoso – liquore – sinuoso – sontuoso – fruttuoso

17. დაღმავალი დიფთონგები [eɪ, εɪ, aɪ, ɪ, oɪ, uɪ; eʊ, εʊ, aʊ]

მოისმინე და გაიმეორე:

1. [eɪ]: nei – dei - quei
2. [εɪ]: miei – Pompei – costei - sei
3. [aɪ]: mai – dai – sai – fai - ai
4. [ɔɪ]: adenoidi – poi – suoi
5. [oɪ]: noi – accappatoi – corridoi -
6. [uɪ]: cui – sui - bui
7. [eʊ]: Europa – Eugenio - eufemismo
8. [εʊ]: euro - feudo
9. [aʊ]: augurare – Maura –causa - Laura

18. ტრიფთონგები jei; woi; wji; jwo;
მოისმინე და გაიმეორე:

1. jei: miei; wɔj: suo - vuoi - buoi
2. wja: reliquia; jwɔ: aiuola;

19. ჰიატუსი

1. paese – corteo – leone – beato – creolo - maestro
2. spia – paura – Friuli – Lucia – due – mormorio – suo – tuo
3. biennio – triennio – riunione – riavere – riascoltare

**მახვილი, ინტონაცია და ფონოსინტაქსური
მოვლენები**

20. მახვილი

მოისმინე, ყურადღება მიაქციე მახვილს და გაიმეორე:

1. pago – paghi – paga – paghiamo – pagate – pagano
2. leggo – leggi – legge – leggiamo – leggete – leggono
3. scrivevo – scrivevi – scriveva – scrivevamo – scrivevate – scrivano
4. tavolo – tavolino – tavolone – tavolata
5. ascolto – ascoltò – ascoltami – ascoltatelo
6. guardo – gardiamo – guardano – guardatelo – guardiamolo
7. albero – alberello – alberino – alberone – alberi
8. ordinate – ordinano – ordinò – ordinatelelo

21. የኅጌናቁጥር

ወጪዎች እንደሚከተሉት በፊት የሚያስፈልግ ይችላል፡፡

a)

- Hai sentito che ha fatto sabato scorso Roma?
- Ha perso?
- No, ha vinto.
- No! Ha vinto? Non ci credo!

b)

- 1. - Laura ha scritto una lettera.
- 2. - Laura ha scritto una lettera?
- 3. - Chi ha scritto la lettera? (-Laura)
- 4. - Cos'ha scritto Laura? (-La lettera)
- 5. – Laura ha scritto la lettera, vero?
- 6. –Laura ha scritto la lettera o il telegramma?
- 7. - Cos'ha scritto Laura? La lettera o il telegramma?
- 8. - La lettera, l'ha scritta Laura?
- 9. - Laura ha scritto una lettera?
- 10. - Laura ha scritto una lettera?
- 11. - Laura ha scritto una lettera?
- 12. - Laura non ha scritto una lettera. Laura ha mandato una lettera.
- 13. - Laura ha scritto un telegramma.
- 14. Prima di andare al lavoro io prendo la borsa, l'ombrellino, il biglietto di autobus...
- 15. Prima di andare al lavoro io prendo la borsa, l'ombrellino, il biglietto di autobus.
- 16. Prima di andare al lavoro io prendo: la borsa, l'ombrellino, il biglietto di autobus.

c)

- Chi ha scritto la lettera?
- Quando Laura ha scritto la lettera?
- Quante lettere ha scritto Laura?
- Dove ha scritto Laura la lettera?
- Che cosa ha fatto Laura?

22. ფონოსინტაქსური მოვლენები

მოისმინე და გაიმეორე, მიაქციე ყურადღება ფონეტიკურ მოვლენებს ორი სიტყვის საზღვარზე:

1. Ho_comprato_un pacco di pasta, un po' _di pane_e_delle patate.
2. Vuoi venire_a_guardare _un film a_ casa di Vito?
3. Lei ha_fatto_la somma e_si_è_rammaricata di_avere sbagliato.
4. A_Marco_e_Laura auguriamo cento anni di vita.
5. Marco_e_Paola non hanno più_soldi.

ბიბლიოგრაფია:

Luca Serianni, Valeria Della Valle, Giuseppe Patota *L’italiano parlato e scritto*, Grammatica di riferimento e manuale delle abilità testuali, Paravia Bruno Mondadori Editori 2003.

Luca Serianni, *Italiano. Grammatica, Sintassi, Dubbi*, Garzanti, 2000.

Silvia Calamai, *L’Italiano: suoni e forme*, Carocci, 2009.

Lidia Calabrò, *E tu. . . come pronunci? Eserciziario di fonetica italiana per italiani e stranieri*, Edizione dell’Orso Alessandria, 2010.

Federico Albano Leoni, Pietro Maturi, *Manuale di Fonetica*, Carocci 2010.

გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბ., 1966.

თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2003.

სარჩევი

1. ფონეტიკა და ფონოლოგია	5
2. ფონემა და ფონი	8
3. კომბინაციური და თავისუფალი ვარიანტები	10
4. იტალიური ენის ანბანი, ფონეტიკური ტრანსკრიფია	12
4.1. დიგრამა და ტრიგრამა	16
5. იტალიური ენის ფონემების არტიკულაცია	17
6. იტალიური ენის ხმოვნები	20
7. კორტიკულაცია	25
8. თანხმოვანთა სისტემა იტალიურში	27
8.1. იტალიური ენის თანხმოვნები მათი არტიკულაციის რაგვარობის მიხედვით	28
8.2. იტალიური ენის თანხმოვნები მათი არტიკულაციის ადგილის მიხედვით	31
9. იტალიური ხმოვნებისა და თანხმოვნების სიგრძე	38
10 ნახევართანხმოვნები	40
11. დიფონები და ტრიფონები	41
11.1 მოძრავი დიფონები	44
12. პროსოდიული მახასიათებლები. მარცვალი	46
12.1. მახვილი	48
12.1.1. ბლაგვი (grave) და მკვეთრი (acute) მახვილი	50
12.1.2. პროსოდიული და გრაფიკული მახვილი	51
12.2. რიტმი და ინტონაცია	53
13. ფონოსინტაქსური მოვლენები: ელიზია და კვეცა	56
13.1. ელიზია	56
13.2. კვეცა	58
13.2.1. ხმოვნის კვეცა	59
13.2.2. მარცვლის კვეცა	60
13.3. ფონოსინტაქსური გაორმაგება	61
13.4. ენკლიტიკა და პროკლიტიკა	62
სავარჯიშოები	63
ბიბლიოგრაფია	72



ქართული აკადემიური წიგნი
ირ. აბაშიძის 16, 0179 თბილისი

ტელ.: 222 7137; 551 227137

artlines.ge; artlinesshop.ge; artlinesinfo@gmail.com